საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 14-15 აპრილი. 2021 წ. №79-80 (9198-9199) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

ქართული ენა – უმთავრესი ბურჯი ეროვნებისა!



აპრილის ღონეების ქრონიკები – 1978

„უკულმართი“, „დამლუპველი“ აზრები დედაენის გადასარჩენად!

ერის დიდი სიხარული

საზოგადოება „კუს ტბის“ წევრები ზღვა სიხარულის მონიჭებისთვის უდიდესი პატივისცემით ვულოცავთ მოსკოვურ ტრიუმფს სწორუპოვარ ქართველ ძალოსანს, ერის საამაყო შვილს, სამამულო სპორტის ცოცხალ ლეგენდას ლაშა ტალახაძეს.

დარწმუნებულნი ვართ, საჩხერელი გოლიათი ოლიმპიურ ტოკიოშიც გვასახელებს!

დიდ გამარჯვებას ვულოცავთ აგრეთვე საქართველოდან წარგზავნილ ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს ყველა მედალოსანს!

13.04.21 – დახვედრა თბილისის აეროპორტში.

ნაციონალთა კრიმინალი „თავმჯდომარე“ სასამართლომ პატიმრობაში დატოვა

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე კვლავ პატიმრობაში რჩება. დღევანდელ სასამართლო პროცესზე ნიკა მელიას მიმართ შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა გადაისინჯა და ის ძალაში დარჩა.

სხდომას ესწრებოდა თავად ბრალდებული მელია, რომელმაც პროცესზე სიტყვით რამდენჯერმე ისარგებლა.

პროკურატურა დაკავებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას ითხოვდა და აღნიშნავდა, რომ ერთადერთი ღონისძიება, რომელმაც შეიძლება აღკვეთის ღონისძიების მიზნები უზრუნველყოს, არის პატიმრობა და ის ძალაში უნდა დარჩეს. პროკურორის განცხადებით, იმ შემთხვევაში, თუკი, დაცვის

მხარე თანახმა იქნება, გირაოს შესახებ შეთავაზება შესრულდეს, პროკურატურა შუამდგომლობას დააყენებს.

დაცვის მხარე მელიას აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას ითხოვდა. გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ნინო ჩახნაშვილმა გამოაცხადა.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ნიკა მელიას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 17 თებერვალს შეეფარდა. მელიას ბრალი 20 ივნისის საქმეზე ჯგუფური ძალადობის ორგანიზებისა და მისი ხელმძღვანელობისთვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის 1 და მე-2 ნაწილებით აქვს წარდგენილი. მელია 23 თებერვალს სპეციალური დანიშნულების რაზმმა პარტიის ოფისში, საკუთარ კაბინეტში აიყვანეს.



ინფორმაცია აბიტურიენტებისთვის

რა უნდა იცოდეთ საგნების არჩევის შესახებ?!

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი **კიდევ ერთხელ შეახსენებს აბიტურიენტებს, რომ საგნის წაშლა ან დამატება, ასევე გამოცდის ენის შეცვლა რეგისტრაციის მეორე ეტაპზე 15 აპრილის 18:00 საათამდეა შესაძლებელი,** – ამის შესახებ ინფორმაციას გამოცდების ეროვნული ცენტრი ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალში ცვლილებების შეტანა აპელაციის შედეგების გამოქვეყნებიდან მომდევნო დღის, 18:00 საათზე შეწყდება. კონკრეტული თარიღი დაზუსტებისთანავე გამოქვეყნდება.

„აქვე, კიდევ ერთხელ გთავაზობთ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისთვის აუცილებელი საგნების ჩამონათვალს.

შეგახსენებთ, რომ 2020 წლის მსგავსად საბაკალავრო პროგრამებზე ჩასარიცხად შემდეგი გამოცდები ბარდება:

1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში;

2. უცხოურ ენაში.

მესამე გამოცდა დამოკიდებულია პროგრამებზე: ტექნიკურ და საბუნებისმეტყველო მიმართულებებზე აბიტურიენტები მათემატიკას, ჰუმანიტარულზე – ისტორიას, ხოლო (პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე) სოციალური ან საზოგადოებრივი მეცნიერების არჩევისას, ისტორიას ან მათემატიკას აბარებენ.

ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამებზე სავალდებულოა ოთხი გამოცდა:

1. ქართული ენა და ლიტერატურა;

2. უცხოური ენა;

3. ბიოლოგია;

4. მათემატიკა/ქიმია/ფიზიკა (აბიტურიენტი ირჩევს მინიმუმ ერთს).

სახელოვნებო-შემოქმედებით/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად შემოქმედებით ტურთან ერთად აბიტურიენტმა უნდა ჩააბაროს:

1. ქართული ენა და ლიტერატურა;

2. უცხოური ენა.

სტუდენტებისათვის გრანტი სამი საგნის შედეგის მიხედვით გაიცემა. სახელოვნებო-შემოქმედებით/სასპორტო პროგრამებზე დაფინანსების მოპოვებისათვის აბიტურიენტს შეუძლია კიდევ ერთი საგანი (ისტორია/მათემატიკა) ჩააბაროს. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მცირე ნაწილმა რამდენიმე პროგრამაზე აირჩია მეოთხე საგანი. დეტალური ინფორმაცია მოცემულია 2021 წლის აბიტურიენტთა ცნობარში.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ ვერ აირჩევთ პროგრამებს, თუ არ გექნებათ მითითებული რელევანტური საგნები და ვერ მიიღებთ მონაწილეობას ჩარიცხვების კონკურსში.

გაითვალისწინეთ, ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში უნდა გამოიყენოთ შენახვის ღილაკი და დაიმახსოვროთ შესაბამისი ცვლილება.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი გისურვებთ წარმატებას“!

№ 79-80. ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 14-15 აპრილი, 2021 წელი.

SOS: პანდემიამ უკვე 3858 ადამიანი შეიწირა!

უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით გუშინ ვიდეოკონფერენციის ფორმატში გაიმართა, გართულებული ეპიდემიოლოგიური ვითარება და დაწესებული შეზღუდვების აღსრულების მკაცრი კონტროლის აუცილებლობა განიხილა.

მთავრობის ადმინისტრაციის ცნობით, საბჭოზე აღინიშნა, რომ ბოლო 24 საათში ვირუსით ინფიცირების 1 374 ახალი შემთხვევა გამოვლინდა, რაც განსაკუთრებით საყურადღებო მაჩვენებელია. ინფიცირების შემთხვევების რაოდენობით პირველ ადგილზე თბილისი, ხოლო მეორე ადგილზე – სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონია. უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო აკვირდება ეპიდემიოლოგიურ ვითარებას, არსებულ ტენდენციებს და შესაბამის გადაწყვეტილებებს დეტალური ანალიზის საფუძველზე მიიღებს.

საბჭო ასევე მსჯელობს ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმომსვლელთა მიმართ მოქმედ რეგულაციებზე და შემდგომ გადაწყვეტილებებს, არსებული ეპიდვითარების შეფასების შემდეგ, უახლოეს პერიოდში მიიღებს. კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი ქვეყანაში მოქმედი რეგულაციების ზედმიწევნით დაცვის აუცილებლობას, რათა ქვეყანაში მკაცრი შეზღუდვების დაწესების საჭიროება არ დადგეს.

საკოორდინაციო საბჭო მოქალაქეებს კიდევ ერთხელ მოუწოდებს, სწორად გამოიყენონ პირბადე, დაიცვან სოციალური დისტანცია და თავი აარიდონ ხალხმრავალი შეკრებებისა და სოციალური ღონისძიებების ორგანიზებას, რომელთა გამართვა მთავრობის დადგენილებით ნებადართული არ არის. ამასთან, როგორც ცნობილია, აკრძალულია ფართის გადაცემა/დათმობა საზოგადოებაში დამკვიდრებული სოციალური ღონისძიებებისა (მაგ.: ქორწილი, ნებისმიერი იუბილე, ქელეხი და ა.შ.) და მასობრივი გასართობი ღონისძიების გამართვის მიზნით. აღნიშნული შეზღუდვის დარღვევა კი გამოიწვევს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

მთავრობის მეთაურის დავალების შესაბამისად, შესაბამისი უწყებები კიდევ უფრო მკაცრად გააკონტროლებენ ყველა იმ რეგულაციის აღსრულებას, რომელიც მიმართულია ვირუსის გავრცელების პრევენციისკენ.

სხდომაზე ასევე განიხილეს ქვეყანაში მიმდინარე ვაქცინაციის პროცესის კიდევ უფრო გააქტიურებისა და გაფართოების მნიშვნელობა. პრემიერ-მინისტრის დავალებითა და უშუალო ჩართულობით, გრძელდება ინტენსიური მოლაპარაკებები, რის შედეგადაც, უახლოეს მომავალში ქვეყანა ვაქცინების ახალ დოზებს მიიღებს.

საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევის გამოვლენიდან დღემდე, ვირუსით ინფიცირების 290 129 ლაბორატორიულად დადასტურებული შემთხვევა გამოვლინდა, საიდანაც 278 251 პირი გამოჯანმრთელდა, გარდაცვლილია 3 858 ადამიანი.

ამ ეტაპზე კარანტინში იმყოფება 205 ადამიანი, კლინიკურ სასტუმროებში – 323 მოქალაქე, ხოლო სტაციონარში, მეთვალყურეობის ქვეშ – 2 445 პირი.

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობაში აქტიურად მონაწილეობენ საქართველოს პარლამენტი არჩილ თალაკვაძის ხელმძღვანელობით და პრეზიდენტის ადმინისტრაცია.

კოვიდინფიცირებულების ციფრი საგანგაშოა!

ქვეყანაში ეპიდსიტუაცია თანდათან უარესდება, – ამის შესახებ დაავადებათა კონტროლის ეროვნული

ცენტრის დირექტორმა ამირან გამყრელიძემ განაცხადა. მისი თქმით, ჯანდაცვის სექტორზე ზეწოლა სერიოზულია.

„ქვეყანაში აქტიური შემთხვევა გვაქვს თითქმის 8 ათასი, აქედან 2 485 უკვე კლინიკებშია. დღეს პირველი ნახტომი გვაქვს, იანვრის შემდეგ ათასზე მეტი შემთხვევა ერთი დღის განმავლობაში არ გვქონია. ეს ციფრი ძალიან საყურადღებო და საგანგაშოა“, – აღნიშნა ამირან გამყრელიძემ. გუშინ საქართველოში კორონავირუსი კიდევ 1 374 ადამიანს დაუდასტურდა.

ლადო კახაძე: დედამიწას დაუძინებელი მტერი ჰყავს!

ურთულესი გამოწვევის წინაშე ვართ, დღეს მთელი დედამიწა საავადმყოფოს პალატაში წევს, ექიმები და პაციენტები ერთმანეთში ნდობის აღდგენას აპირებენ, ბევრი ანტივაქსერია, – ამის შესახებ უმრავლესობის დეპუტატმა ლადო კახაძემ პარლამენტში სესიაზე განაცხადა.

„ორი არჩევანი გვაქვს, ან ვაქცინაცია და გონივრული ნაბიჯი, ანდა დაყოლა შინაგან უნდობლობის ფაქტორზე. ვთხოვ მოსახლეობას, რომ ჩვენი გადარჩენა ვაქცინაციაშია, ხელისუფლება და საკანონმდებლო სივრცე ყველაფერს აკეთებს ამისათვის, ახლა თქვენი აქტიურობაა საჭირო.

მტერი ჰყავს დედამიწას დაუძინებელი, ეს არის კორონავირუსი და წელიწად-ნახევარი გავიდა ადამიანების მეოხებით ეს ვირუსი წარმატებას აღწევს. ვინ იცის ეს ვირუსი კიდევ რამდენი შტამით სახეცვლილებას მოახდენს ეს ვირუსი და ჩვენვე გადაგვაქვს. ჯერადი მატება გვაქვს, 1 374 შემთხვევა დაფიქსირდა დღეს, 3,66 ავიდა დადებითობის-მაჩვენებელი, 4 უკვე კრიტიკული ზღვარია, რომელიც გვაიძულებს იმ ღონისძიებების მხარეს გადავიხაროთ, რომელიც არავის არ მოგვწონს. ხედავთ დარბაზშიშევთხელდით, ჩვენც მოგვერია, ევროპის ჩემპიონატზე შესანიშნავი კაცი უნდა წასულიყო, კოვიდი დაემართა, მასაც ვიღაცამ გადასდო, უყურადღებობამ გადადო“, – განაცხადა ლადო კახაძემ.

გარდაცვალების ყველაზე ხშირი მიზეზი...

დაგვიანებული მიმართვა COVID-19-ით გარდაცვალების ყველაზე ხშირი მიზეზია. ამის შესახებ ინფექციური საავადმყოფოს ხელმძღვანელის წერილი კლინიკის **Facebook** **გვერდზე განთავსდა.** ინფექციონისტის თქმით, ბოლო პერიოდში მთელ მსოფლიოში აღინიშნება COVID-19-ის ახალი შემთხვევების და მისგან გამოწვეული სიკვდილობის ზრდა.

რიგ ქვეყნებში უკვე დაიწყო ან იწყება ე.წ. მესამე ტალღა. საქართველო ვაქცინაციის გვიან დაწყების მიუხედავად, პანდემიის სწორი მენეჯმენტით დღემდე ინარჩუნებს ახალი



შემთხვევების და განსაკუთრებით გარდაცვალების ერთ-ერთ ყველაზე დაბალ მაჩვენებელს, მაგრამ ბოლო პერიოდში ჩვენს ქვეყანაშიც აღინიშნება COVID-19-ის ახალი შემთხვევების ზრდის ტენდენცია.

„თუ მისი შეჩერება ვერ მოხერხდა, მთლიანად ქვეყანა და პირველ რიგში კლინიკური სექტორი დადგება ახალი სერიოზული გამოწვევის წინაშე. შესაბამისად, საჭიროა ახლავე მივიღოთ ზომები COVID-19 პაციენტების კლინიკური მართვის შემდგომი ოპტიმიზაციისთვის“.

ჩვენ ჩავატარეთ ბოლო პერიოდში COVID-19-ით გარდაცვალების შემთხვევების მოკლე ანალიზი, რომელმაც გვიჩვენა, რომ უმეტეს შემთხვევებში პაციენტების გარდაცვალება გამოწვეულია კლინიკებში დაგვიანებული მომართვით, როცა პაციენტის მდგომარეობა უკვე იმდენად მძიმეა, რომ მისი გადარჩენა ყოველთვის ვერ ხერხდება.

GRECO: 16 რეკომენდაციიდან საქართველომ 14 შეასრულა

კორუფციის წინააღმდეგ სახელმწიფოთა ჯგუფმა (GRECO) საქართველოს მიერ მეოთხე რაუნდის შეფასების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში გამოაქვეყნა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის რეკომენდაციების შესრულება შეაფასა, – ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს იუსტიციის სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, GRECO-ს მონიტორინგის მეოთხე რაუნდი ეხება წევრი ქვეყნების პარლამენტის, პროკურატურისა და სასამართლოს მიმართ გამოცემული რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობას.

ანგარიშში GRECO მიესალმება საქართველოს პროგრესს ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა საკანონმდებლო პროცესის გამჭვირვალობის გაზრდის კუთხით განხორციელებული ღონისძიებები; პარლამენტში ეთიკის საბჭოს შექმნა; დეპუტატების ტრენინგები ეთიკის საკითხებზე; მოსამართლეთა დანიშვნის წესში გაუმჯობესებული რეგულაციები; მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებების დასაბუთების გაუმჯობესება და ამ გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესაძლებლობა;

მოსამართლეთა დისციპლინური პროცედურების გაუმჯობესების მიზნით სამოსამართლო ეთიკის წესების განახლება; პროკურორთა ეთიკის კოდექსის იმპლემენტაციისათვის განხორციელებული პრაქტიკული ღონისძიებები; პროკურორთა დანიშვნისა და დაწინაურების შესახებ გაუმჯობესებული რეგულაციები.

მეორე შუალედური ანგარიშის თანახმად, საქართველომ სრულად ან მეტწილად შეასრულა GRECO-ს რეკომენდაციების აბსოლუტური უმრავლესობა. პირველ ანგარიშთან შედარებით, გაუმჯობესებულია 3 რეკომენდაციის შესრულების სტატუსი.

დარჩენილ რეკომენდაციებზე ანგარიშგებისთვის საქართველოს ვადა 2022 წლის მარტამდე აქვს. ანგარიშში მითითებულია, რომ საქართველომ განაგრძოს კორუფციის თავიდან აცილებისკენ მიმართული რეფორმების გატარება.

GRECO-ს ანგარიში ავტორიტეტული საერთაშორისო ანტიკორუფციული ორგანოს მხრიდან საქართველოს ანტიკორუფციული პოლიტიკის წარმატების კიდევ ერთი დადასტურებაა. ანტიკორუფციული მიმართულების სახელმწიფო პოლიტიკასა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგიას საქართველოში ანტიკორუფციული საბჭო განსაზღვრავს, რომელიც უწყებათაშორისი ორგანოა.

საანგარიშო პერიოდში საბჭოს იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობდა, ახლა კი, მას საქართველოს პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებს.

უკრაინის ელჩი: ჩვენ ვგრძნობთ და გვჭირდება თქვენი მხარდაჭერა

საქართველო და უკრაინა ყოველთვის ერთად არიან, **ჩვენ ვგრძნობთ და გვჭირდება თქვენი მხარდაჭერა,** – ამის შესახებ საქართველოში უკრაინის ელჩმა იგორ დოლგოვმა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით განაცხადა. აღნიშნული კომენტარი დოლგოვმა „ლელოს“ ორგანიზებით, უკრაინისადმი სოლიდარობის ნიშნად გამართულ აქციაზე განაცხადა.



„საქართველოს მხარდაჭერა ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. თქვენ იცით თქვენი და უკრაინის ისტორია. მრავალი წლის წინ, როდესაც აფხაზეთში მოვლენები ვითარდებოდა, უკრაინელები აქ იყვნენ. 2008 წელს, როდესაც საქართველოს თავს დაესხა რუსეთის ფედერაცია, უკრაინა იყო აქ. 2014 წელს, როდესაც უკრაინელებს თავს დაესხა რუსეთი, თქვენ იყავით ჩვენ გვერდით. ჩვენ ყოველთვის ერთად ვართ, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში. თქვენი აქ ყოფნა არის თქვენი მხარდაჭერის ნათელი გამოხატვა. მადლობა ამისთვის. ჩვენ ვგრძნობთ და გვჭირდება თქვენი მხარდაჭერა. მთავარი, რისი გაკეთებაც ახლა შეგვიძლია, რათა რუსეთს ვაჩვენოთ, რომ აგრესიული გეგმები აღარ გაუვა, არის ერთიანობა და სოლიდარობა. სწორედ ამიტომ, დღეს უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დიმიტრი კულება ნატოს შტაბბინაში იქნება და ერთად გავაგრძელებთ აგრესიის შეჩერების აუცილებლობაზე კონსენსუსის მიღწევას“, – განაცხადა იგორ დოლგოვმა.

პრემიერი ვალდებულია, ეკონომიკური კრიზისიდან გამოსავალი აკადემიურ წრეებთან ერთად იპოვოს!

ბოლო ერთ წელიწადში იმ ადამიანების რაოდენობამ, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან საარსებო შემწეობას იღებენ, დაახლოებით, 18%-ით მოიმატა. სიღარიბის ზრდის მიზეზი გაძვირებული ცხოვრება და უმუშევრობაა. ორივე მათგანი პანდემიის ფონზე გამწვავებულია. ქვეყნის მოსახლეობის მინიმუმ 75% კი არასრულფასოვნად იკვებება. სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემებით, 2021 წლის მარტში საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა (უკიდურესად გაჭირვებულების) წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 83 296 ადამიანით არის გაზრდილი.

სტატისტიკური მონაცემებით, 2020 წლის მარტში საარსებო შემწეობის მიმღებთა რიცხვი 458 468-ს შეადგენდა, 2021 წლის მარტში კი 541 764 შეადგინა, რაც მთლიანი მოსახლეობის 14,5%-ს შეადგენს. ერთ მილიონს გადააჭარბა სოციალური მომსახურების სააგენტოს ბაზაში რეგისტრირებულთა რაოდენობამაც, ანუ მათი რიცხვი, ვინც თვლის, რომ ღარიბია და დახმარებას საჭიროებს. უფრო კონკრეტულად, 2020 წლის მარტში ასეთი ადამიანების რიცხვი შეადგენდა 922 247-ს, დღეის მდგომარეობით კი ბაზაში 1 033 051 ადამიანია რეგისტრირებული.

მარტში წლიურმა ინფლაციამ დაგეგმილ მაჩვენებელს 2.4-ჯერ გადააჭარბა და 7.2%-ს მიაღწია, თუმცა განსხვავებული კვების რაციონის, კომუნალური გადასახადებისა და სხვა ხარჯების გათვალისწინებით, სამომხმარებლო ფასები სხვადასხვა ადამიანისთვის სხვადასხვა მოცულობით გაიზარდა.

ფასების თუნდაც მცირედით ზრდა ყველაზე მტკივნეულად სოციალურად დაუცველ ადამიანებზე მოქმედებს. ხელმოკლე ადამიანი შემოსავლის 50%-ზე მეტს და ზოგ შემთხვევაში 70%-ზე მეტსაც საკვებზე ხარჯავს. „საქსტატის“ ცნობით ბოლო ერთ წელიწადში სურსათზე ფასები საშუალოზე უფრო დაბალი მაჩვენებლით — 5.7%-ით გაიზარდა, რაც ქმნის იმის ილუზიას, რომ ღარიბი ადამიანისთვის ინფლაცია შედარებით დაბალი იყო, მაგრამ რეალობა განსხვავებულია. ის პროდუქტები, რომლებსაც ყველა მოიხმარს, საშუალოზე ბევრად მეტით გაძვირდა, მაგ: ზეთი და ცხიმი — 35.8%-ით, ყავა და ჩაი — 13.7%-ით, შაქარი — 13%-ით, რძის ნაწარმი — 8.5%-ით. პური და პურპროდუქტები — 7.7%-ით, მათ შორის თონის პური 20%-ით შედარებით ნაკლებად 5%-ით გაიზარდა ფასები ნატურალურ წვენებზე და 4%-ით ხორცზე, ასევე 8.6%-ით გაიაფდა ხილი და 12%-ით; ბოსტნეული. სურსათის გარდა აუცილებელი ხარჯების კატეგორიას განეკუთვნება ასევე კომუნალური გადასახადები და ჯანდაცვა. კომუნალური ხარჯები ერთ წელიწადში 7.8%-ით გაიზარდა, ჯანდაცვა — 13.6%-ით.

იმ ადამიანებისთვის, რომელთა შემოსავალი ისედაც დაბალია, რეალური ინფლაცია ორნიშნა აღმოჩნდა, რამაც მათი მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. გაუფასურებულმა ლარმა და საწვავზე ფასების მატებამ უახლოეს პერიოდში ფასები შესაძლოა კიდევ უფრო გაზარდოს.

მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონის ეკონომიკურ ბიულეტენში საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობაცაა შეფასებული. მსოფლიო ბანკში ამბობენ, რომ პანდემიამ საქართველოს მძიმე დარტყმა მიაყენა. მობილობის შეზღუდვამ, საერთაშორისო ტურისტების ჩამოსვლის მოულოდნელმა შეჩერებამ და სუსტმა საგარეო მოთხოვნამ 2020 წელს 6.2%-იანი ეკონომიკური ვარდნა გამოიწვია. სიღარიბის მაჩვენებელი დაახლოებით 5.4%-ით გაიზარდა.

„სამუშაო ადგილებისა და შემოსავლის დაკარგვა განსაკუთრებით მწვავე პრობლემაა. საბიუჯეტო დეფიციტმა და სახელმწიფო ვალმა დადგენილ ზღვარს გადააჭარბა ფისკალურ და საგარეო სავაჭრო ბალანსზე კრიზისის ზეწოლის პირობებში. პროგნოზის მიხედვით, საქართველოს ეკონომიკა 2021 წელს — 4%-ით, ხოლო 2022 წელს 5%-ით გაიზრდება. ეკონომიკის გაუმჯობესების მიუხედავად, მთლიანი გამოშვება პანდემიამდე არსებულ დონემდე 2022 წლის ბოლომდე ვერ აღდგება“, — პროგნოზირებენ მსოფლიო ბანკში.

სწორედ ასეთი სავალალო რეალობის გამო ქვეყანაში იზრდება სიღარიბის მიღმა მყოფი ადამიანების რიცხვი. ნახტომისებური სიძვირის გამო უკვე მოსახლეობის 75% არასრულფასოვნად იკვებება. ექსპერტი პაატა კოღუაშვილი მძიმე რეალობაზე და მაჩვენებლებზე ამახვილებს ყურადღებას:

„ახლახან დავამთავრე გაანგარიშება. საარსებო მინიმუმის რეალური მაჩვენებელი საშუალო წონის 30 წლის მამაკაცზე დღეისათვის შეადგენს 510 ლარს. აქედან 50% მოდის სურსათზე. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მეთოდიკა ამ საკითხში აბსოლუტური სიმახინჯეა. ცხადია, პანდემიამ უმძიმესი დარტყმა მიაყენა ეკონომიკას. უპირველეს ყოვლისა დასაქმებას და ხალხს წაერთვა არსებობისათვის აუცილებელი საშუალებები.

სიღარიბის დონე ქვეყანაში ერთმნიშვნელოვნად გაზრდილია. ქვეყნის მოსახლეობის მინიმუმ 75% არასრულფასოვნად იკვებება. ეს გავლენას ახდენს განსაკუთრებით ბავშვებზე, მეძუძურ დედებზე და სხვა მოწყვლად ჯგუფებზე“, — განაცხადა კოღუაშვილმა. მისივე თქმით, პრემიერი ვალდებულია ვითარებიდან გამოსავალი აკადემიურ წრეებთან ერთად იპოვოს. საამისოდ დრო არც ისე ბევრია.

ეკა ბაძრაძე

ბოკერიას ფაქტორი — „პეპლის ეფექტი“

„ევროპულ საქართველოში“ მოულოდნელი საკადრო ცვლილებები განხორციელდა. პარტიის ახალი თავმჯდომარე **გიგა ბოკერია** გახდა. ამის ფონზე, „ევროპული საქართველოს“ რიგები დატოვა რამდენიმე წევრმა: **დავით ბაქრაძემ, გიგი უგულავამ, გივი თარგამაძემ, გოკა გაბაშვილმა** და **ლევან თარხნიშვილმა**. პარტიის პოლიტიკური საბჭო დატოვა **სერგი კაპანაძემ**.

გარკვეულწილად, პარტიაში არ მალავენ განხეთქილებას, რასაც რეალურად ადგილი ჰქონდა ამჟამინდელ და აწ უკვე ყოფილ წევრებს შორის. პოლიტიკურ და ანალიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ პარტიის დატოვების გადაწყვეტილებაც სწორედ ამიტომ მიიღეს მათ, რადგან გიგა ბოკერიას ფაქტორი საკმაოდ ნეგატიურად მოქმედებდა და მოქმედებს ყოფილ თანაგუნდელებზე.

ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** მიიჩნევს, რომ გიგა ბოკერიას თავმჯდომარეობით „ევროპული საქართველოსთვის“ ოპტიმისტური პროგნოზის გაკეთება რთული იქნება. პარტიის ყოფილი და ამჟამინდელი წევრები წარსულს ვერ ამოშლიან, რაც უშუალოდ იმ „9-წლიან სისხლიან რეჟიმს“ უკავშირდება.

„რთულია იმის პროგნოზირება, თუ რა მიმართულებით წავა პროცესები „ევროპულ საქართველოში.“ ეს დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ პარტიის ახალი ხელმძღვანელობა პარტიის განვითარების რა გზას დაადგება. იგივე პარლამენტის ბოიკოტირებასთან დაკავშირებით, მოლაპარაკებებზე დამოკიდებულებასა და სხვას საკითხებზე. აპირებს ის რეალურ ცვლილებებს თუ არა.

თუნდაც ის საკადრო ცვლილებები, რაც პარტიაში დადასტურდა ყრილობის შემდეგ, მე პირადად მეუბნება იმას, რომ დიდ და სერიოზულ ცვლილებებს არ უნდა ველოდოთ. ამ მხრივ მაინცდამაინც ოპტიმისტური მოლოდინი არ მაქვს, რომ პარტია პოლიტიკურად გაჯანსაღდება.

ის მძიმე წარსული, რაც მოსდევს პარტიის იმ ლიდერებს, რომლებიც დღეს პარტიის სათავეში მოექცნენ, არსად წასულა და არც ამ პარტიის ლიდერებს არ გაუკეთებიათ ისეთი განცხადებები, რაც საზოგადოებას დაარწმუნებდა, რომ მათ ამ მძიმე წარსულთან კავშირი გაწყვიტეს. ეს წარსული მოსდევს „ევროპული საქართველის“ ყველა მოქმედ თუ წასულ ლიდერს, რასაც ვერც ერთი მათგანი ვერ გაექცევა.

დღეს „ევროპული საქართველო“ დგას არჩევანის წინაშე. მათ თუ სურთ, რომ როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია გადარჩნენ და არ გაიზიარონ იმ ორგანიზაციების ბედი, რომლებიც პოლიტიკურ არქივში ჩამოწერა პოლიტიკურმა პროცესებმა, მათ უნდა გადადგან ის ნაბიჯები, რასაც მათგან საზოგადოება ელოდება. ეს ნაბიჯი იქნება ის, რომ გარკვეული პერიოდის შემდეგ, თავად გიგა ბოკერია და სხვა იდიოზური ფიგურებიც ნელ-ნელა ჩამოცილდნენ პარტიას და რეალურად გაუხსნან გზა ახალ კადრებს, რომლებთანაც საზოგადოებას არ ექნება მძიმე კითხვები. სხვა გამოსავალს ამ პარტიისთვის ვერ ვხედავ“...

ანალიტიკოსი **პაატა ზაქარეიშვილი** თვლის, რომ გიგა ბოკერია რადიკალური პოზიციით გამოირჩევა, რამაც, პარტიის დაშლა გამოიწვია. როგორც ზაქარეიშვილმა აღნიშნა, „ევროპული საქართველოს“ რეიტინგი ძალიან დაბალია და მისი გაუმჯობესება რთული იქნება.

„რაც ხდება პარტიაში, ეს ჩვეულებრივი ამბავია. ასეთი ცვლილებები განიცადა ბევრმა პარტიამ თავის დროზე, მათ შორის „ქართულმა ოცნებამაც“. ეს ცოცხალი პოლიტიკური ორგანიზმის თვისებაა. პარტიები ცდილობენ, რომ ადამიანების დრამატული გასვლები არ ხდებოდეს, თუმცა ეს სერიოზული გამოწვევაა, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი.

ადამიანების წასვლა იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც ის, ვინც რჩება. გიგა ბოკერიას ფაქტორმა და ფენომენმა განაპირობა იმ ხალხის გასვლა, ვინც გავიდა, ბოკერია იყო მიზეზი. როგორც ჩანს, ბოკერია გამოირჩევა რადიკალური მოთხოვნებით, ხშირად გაუმართლებელი პრინციპულობოთ, კატეგორიულობით და გარკვეულწილად ავტორიტარული მმართველობის სტილით.

რამდენად მოახერხებს ის ამ სტილით და ამ თვისებებით, შეკრას ისეთი პარტია, რომელიც უფრო წარმატებული იქნება, ვიდრე დღეს არის? — ვნახეთ, რომ არჩევნებზე ამ პარტიამ 4%-ც ვერ აიღო, რაც მათ ამბიციებს არ შეესაბამება. რაც არ უნდა ილაპარაკონ, რომ არჩვნები გაყალბდა, თუ გაყალბდა, ამ შემთხვევაში ეს მოხდა „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ და არა სხვა პარტიების საწინააღმდეგოდ. არავის წაურთმევია ხმები „ევროპული საქართველოსთვის.“ ეს არის მათი ალალი ხმები. არავის არაფერი მოუმატებია და არც დაუკლია.

ეს არის ძალიან ცოტა და მგონია, რომ ამ შედეგს ვერ გააუმჯობესებს ბოკერიას ფაქტორი. ლიდერებმა არ უნდა შეუქმნან ასეთ პარტიებს საფრთხე, რასაც რეალურად ვხედავთ“, — განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა.

ნიკო ჩოხელი

ჩვენ თვალყურს ვადევნებთ ეკონომიკის სიმედოდ გამოცოცხლებას!

ჩვენ თვალყურს ვადევნებთ ეკონომიკის გამოცოცხლებას და საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა სწორედ ამას ადასტურებს. მარტში ჩვენ გვაქვს ექსპორტის მაჩვენებლის რეკორდული ზრდა — დაახლოებით 31 პროცენტით, - ასე შეაფასა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ნათია თურნავამ 2021 წლის მარტში საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტატისტიკა, რომელიც სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოაქვეყნა.

„ჩვენ ძალიან პოზიტიური მოლოდინი გვაქვს მიუხედავად იმისა, რომ დიდი საფრთხის წინაშე ვდგავართ მესამე ტალღის მოახლოებასთან დაკავშირებით — საქართველოს ეკონომიკა ცოცხლდება, ვითარდება, ადგილობრივი წარმოება აფართოებს თავის საექსპორტო შესაძლებლობას და ახალ ბაზრებზე გადის“, — განაცხადა ნათია თურნავამ.

რამაზ საყვარელიძე:

პოლიტიკაში არავინ მარტო არ თამაშობს, „უცნობს“ შეიძლება ჰყავდეს პარტნიორი, რაც ხელს შეუწყობს პოლიტიკური ძალების გამსხვილებას

– „უნდა დავასრულოთ მუდმივი დესტრუქცია, სიძულვილის ქადაგება, მედიატერორი, დაანონსებული რევანშის მცდელობები, ბელადომანია, მანქურთიზაცია და თავგამოდებული ბრძოლა ქართულ იდენტობასთან, ეკლესიასთან, პოლიციასთან“, – გაჩეჩილაძის მთავარი ადრესატი არის „ნაციონალური მოძრაობა“. ხელისუფლების ცვლილებიდან 9 წლის თავზე არსებული პოლიტიკური მოცემულობა რაზე მიუთითებს – ხელისუფლების სისუსტეზე ხომ არა, რომელმაც დაუშვა კოაბიტაცია „ნაციონალურ მოძრაობასთან“?

– „უცნობი“ ამ მხრივ კრიტიკული იყო ხელისუფლების მიმართ, მაგრამ ერთია ამ მასშტაბის საჯარო გამოსვლაში გაკეთებული განცხადება, რომელიც გამიზნულია ემოციებზე და მეორეა ანალიზი, რომელსაც თქვენ ითხოვთ ჩემგან. თითქმის ერთი წელია ოპოზიცია იმუქრება დიდი მიტინგის მოწყობით, მაგრამ ვერ აწყობს. შეიძლება ითქვას, რომ ნაწილობრივ ოპოზიციის ამ მოწოდების პასუხი იყო „უცნობის“ შეძახილი – თქვენ, აქციის მოწყობისთვის გჭირდებათ ფული, ადამიანები ჩამოგყავთ რაიონებიდან, მაგრამ აი, 9 აპრილის აქციაზე მხოლოდ თბილისი იყო.

– ეს იყო ოპოზიციაზე და ხელისუფლებაზე გაბრაზებული ამომრჩეველი, თუ რა კატეგორიის ხალხი გავიდა აქციაზე?

– მე მგონია და რამდენიმე ინტერვიუში გამოჩნდა კიდეც, რომ გავიდა ადამიანი, რომელიც გაბრაზებულია ოპოზიციაზე, მაგრამ ასევე გაბრაზებულია ხელისუფლებაზე, რომელმაც ოპოზიცია აქამდე მიუშვა და ვერ აგვარებს საკითხებს, რაც ხელისუფლების მოსაგვარებელია! ამიტომ ხალხმა თავისი კუნთები აჩვენა. საკმაოდ მცირე დროში, ფულისა და რეგიონებიდან ხალხის ჩამოყვანის გარეშე შეუდარებლად დიდი მიტინგი ჩატარდა, რომელიც მიმართული იყო ოპოზიციის წინააღმდეგ.

რაც შეეხება თქვენს პირველ კითხვას – ვისი ბრალეულობაა? – აქციაზეც გაიუღერა, რომ ხელისუფლებამ უნდა მოაგვაროს, მაგრამ ხელისუფლებასაც ვერ ჩამოვკიდებთ ამ ბრალდებას, რადგან კარგად ვხედავთ, რომ საკამარისია ხელისუფლებამ ოდნავ აუქციოს გვერდი დასავლეთის მოთხოვნებს, რომ წვიმასავით მოდის შეკითხვები. აქაც არის კონტრარგუმენტი, რომ **იმ დასავლეთს, რომელთანაც უკვე მე-9 წელია ეს ხელისუფლებაცაა დაკავშირებული, რატომ ვერ შეუქმნა ისეთივე განწყობა, როგორც წინა ხელისუფლებამ? ისმის ეს კითხვა, მაგრამ ბევრი რამ არ ვიცით.**

დასავლეთის განწყობაზე და ხელისუფლების გაბედულ მოქმედებაზე როცა ვსაუბრობთ, უნდა გავითვალისწინოთ, მაგალითად, თავის დროზე, რაზე იყო დაფუძნებული ნაციონალების ცრუ რიტორიკა. „ოცნების“ ხელისუფლება მოქმედებს სუფთად, თუ ისეთივე მეთოდებით, რა მეთოდებითაც ნაციონალები? მისი მოქმედება ფაქტებით არის შექმნილი, თუ ისევ ტყუილით? აი, ამის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. თუ ეს ხელისუფლება არ აპირებს დასავლეთის მოტყუებას, მოსყიდვას, მაშინ იმ სურათს მივიღებთ, რაც მივიღეთ, რადგან დასავლეთშიც არის რაღაცა ჯგუფი, რომელიც „ევროპის სახალხო პარტიასთან“ არის დაკავშირებული და პარტიული ინტერესი აქვს სააკაშვილის დასაცავად. აი, ამ ინტრიგებში ვართ გახვეული და არა მარტო ადგილობრივ, არამედ უცხოურ ინტრიგებშიც.

„ევროპის სახალხო პარტიას“ თავისი ამოცანები აქვს, რისთვისაც საკაშვილის ასეთი დეკორაციული ბრძოლა რუსეთთან, მისთვის სრულიად საკმარისი და სასურველია. ამ ბრძოლის ერთ-ერთი სიმბოლო არის საქართველო, სადაც თურმე რუსმა ოლიგარქმა დაადგა ფეი. სასწრაფოდ იქმნება ასეთი ლეგენდები და ამას ქმნიან ნაციონალები. „ქართული ოცნება“ კი ლეგენდებს ვერ ქმნის და ვერ ვიტყვი, რომ ეს კომპლიმენტია მათთვის!

– ვერ ქმნის რატომ? რა უშლის ხელს, ინტელექტი, თუ უბრალოდ ამის სურვილი არ აქვთ?

– ნიჭი, პიარის ნიჭი. ჩვენ სულ ამ კრიტიკის ფონზე ვლაპარაკობთ, რომ „ქართულ ოცნებას“ პიარი არ უვარგა, ვერ ახერხებს მოსახლეობამდე იმის მეათედის მიტანას, რაც გაკეთებული აქვს. მეტს აკეთებს, მაგრამ ამბებად ნაკლები მიდის მოსახლეობასთან. ანუ, ინფორმაციის ჩამოყალიბება, მიწოდება – ეს ნიჭი არ აქვს „ოცნებას“. მოსახლეობის არაინფორმირებულობამ დააზიანა „ქართული ოცნება“ და ეს დღესაც გრძელდება. იგივე არის საგარეო არენაზეც. ამ მხრივ აქტიური იყო „ნაციონალური მოძრაობა“ – ვერ ვიტყვი, რომ პროფესიული, მაგრამ აქტიური იყო. შინ ხალხმა არ ისურვა მარტო სიტყვების დაჯერება, რადგან საქმეში დაჯერება შეუძლებელი იყო, მაგრამ საგარეო არენაზე საქმე არ ჩანს, მარტო სიტყვები ჩანს. იქ კიდევ უფრო მეტი გასაქანი აქვს პიარს. ამ პიარით მუშაობს „ნაციონალური მოძრაობა“, მაგრამ არ მუშაობს „ქართული ოცნება“. ამიტომ უცხოელებისგან ზეწოლა „ქართულ ოცნებას“ მეტი აქვს, ვიდრე „ნაციონალურ მოძრაობას“. აი, ასეთია სქემა, მაგრამ ეს სქემა დიდხანს არ გაგრძელდება.

– რა გაძლევთ ამ ოპტიმიზმის საფუძველს?

– ბევრი რამ ქართულ პოლიტიკაში იყო შევარდნაძის დროს გადადგმული ნაბიჯების შედეგი, რომ აი, გატარდა ნავთობსადენი, რომელიც დასავლეთისკენ წაიღებს აზიის ნავთობს. ამიტომ მოითხოვა საქართველომ დასავლური ორიენტაცია და განაცხადები გააკეთა, მათ შორის ნატოში გაწევრიანებაზეც. მერე, საკაკაშვილის დროსაც, დასავლეთისთვის იგივე რიტორიკა გაგრძელდა, ოღონდ ასეთი საქმიანი კომპონენტი საკაკაშვილის დასავლურობას არ ახლდა, მარტო „შუქურა“ იყო – ერთადერთი რევოლუცია მოხდა, მეტი არაფერი. დანარჩენი, ყველა ნაბიჯი დასავლეთის რეკომენდაციების გვერდის ავლით იდგმებოდა, მათ შორის 2008 წლის აგვისტოს ომი, ოღონდ ამას დასავლეთისთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან დასავლეთი ნავთობს და ტრანზიტს საქართველოს გავლით იღებდა. საკაკაშვილი დასავლურ რიტორიკას მიჰყვებოდა, მაგრამ დასავლეთისთვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, იყო თუ არა საქართველო რეალურად დასავლეთზე ორიენტირებული.

ახლა დგება სხვა ეტაპი. ჯერ ერთი, დასავლეთისთვის საქართველო ხდება თითქმის ერთადერთი სტრატეგიული საყრდენი წერტილი შავი ზღვის სანაპიროზე, მთლიანად დასავლეთისთვის და განსაკუთრებით აშშ-ისთვის, რასაც იმ პირობებში, როცა კავკასიაში რუსეთი კიდევ უფრო გაძლიერდა ყარაბაღის ომის მერე, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

– გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რა რიტორიკა აქვს საქართველოს?

– არა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რას აკეთებს საქართველო. რიტორიკაშიც ცოტა მოიკოჭლებს. სწორედ, აი, ამ არჩევნებმა გამოაჩინა ის ჯგუფი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ორიენტირებული ვართ დასავლეთზეო, მაგრამ დასავლეთის არც ერთი რეკომენდაციის გათვალისწინებას არ აპირებს, არ შედის პარლამენტში. იმის მიუხედავად, რომ დასავლეთის ყველა პოლიტიკური წრიდან ამ ჯგუფს უთხრეს – შედი პარლამენტში და თავი დაანებე ბოიკოტსო, ის მაინც თავისას აკეთებს და თან, უკვე დასავლეთმა დაინახა, რომ აკეთებს იმას, რაც აწყობს რუსეთს. და უთხრეს კიდეც: „ეს აწყობს რუსეთს“. ამიტომ, ნაციონალების რიტორიკაზე, პიარის ეფექტურობა, აი, ამ ბოლო ფრაგმენტების გამო, ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვნად შემცირდება. „ქართული ოცნების“ პარტნიორობასთან გეგმები მნიშვნელოვნად გაიზრდება, სწორედ, იმიტომ, რომ დღეს საქართველოს თავისი ხელისუფლებითურთ სტრატეგიული ღირებულება აქვს. ამიტომ მგონია, რომ ეს მდგომარეობა შეიცვლება!..

– „ჩვენ, ხალხმა და საზოგადოებამ უნდა ავიღოთ პასუხისმგებლობა ქართული პოლიტიკის გაჯანსაღებაზე, იმაზე, რომ პოლიტიკოსები გავხადოთ ქვეყნის მსახურები და შევქმნათ ახალი ძალა“, – აცხადებს გია გაჩეჩილაძე. ბატონო რამაზ, ვინ არის ეს ხალხი, ვისზეც „უცნობი“ აკეთებს აქცენტს, რა ძალაზეა საუბარი? ამით უცნობი ცდილობს მესამე პოლიტიკური ძალის ადგილის დამკვიდრებას, რომელიც ისევ თავისუფალია და რომელიც შეიძლება გიორგი გახარიამ დაიკავოს?

– აქ რევოლუციურ ვარიანტზე არ არის ლაპარაკი. ხალხმა აიღოს პასუხისმგებლობა, არ ნიშნავს, რომ მოხდეს სახალხო რევოლუცია და ხელისუფლების გადაგდება. ნებისმიერ ქვეყანაში, რომელიც რევოლუციას არ იზიარებს, ალტერნატივა არის არჩევნები. არჩევნების შედეგად დგება შედეგი იმისდა მიხედვით, როგორია თითოეული პარტიის პოლიტიკური ორიენტაცია, რამდენ მხარდამჭერს მოიპოვებს პარლამენტში შესასვლელად და მერე უკვე ხდება ძალაუფლების განხორციელება, ეს არის სქემა.

ასე რომ, რაც თქვენ ბრძანეთ – მესამე პოლიტიკური ძალის გაჩენა, ამისკენ მიდის ეს პროცესები, როგორც „უცნობის“, ისე გახარიას ღონისძიება. ასევე სასიამოვნოა, რომ კიდევ არსებობს კალაძის ფიგურა და რეიტინგი. ანუ, შეიძლება სამი ისეთი პოლიტიკური ძალა მივიღოთ, რომლებისთვისაც „ნაციონალური მოძრაობის“ ასეთი თავნებობა და რუსული სცენარი მიუღებელი იქნება.

– ეს უკვე ნიშნავს, რომ მომავალი არჩევნებისთვის ეს სამი ძალა იქნება უფრო ფართოდ წარმოდგენილი პარლამენტში?

– ჯერჯერობით, მარტო გახარიას შემთხვევაში ჩანს პარტიის შექმნის გეგმა. არც უცნობთან და არც კალაძესთან ასეთ რაღაცაზე ლაპარაკი არ არის. თან კალაძე საკმაოდ მყარად არის ჩამჯდარი „ქართული ოცნების“ სტრუქტურაში. თუკი ადგილობრივი არჩევნებისთვის ეს სამი ფიგურა კიდევ მეტ წონას მოიპოვებს და იმის უნარს გამოავლენს, რომ შეუძლიათ ხმების მეტი მობილიზაცია მოახდინონ, არ გამოვრიცხავ, რომ ადგილობრივი არჩევნების გათვალისწინებით და ხელისუფლების ინიციატივით, ახალი პოლიტიკური კონფიგურაცია გამოჩნდეს, მოხდეს ძალების ახლებური განაწილება. შესაძლოა, ამ ახალი კონფიგურაციის ასახვა მოხდეს არჩევნების შედეგად და მივიღებთ ახალ პარლამენტს, რომელშიც რუსული ორიენტაციის რადიკალური ძალები კიდევ უფრო ნაკლებად იქნებიან წარმოდგენილი, ვიდრე დღეს არიან.

– გაჩეჩილაძე, რომელიც ხალხის სახელით საუბრობს, რა ჯგუფი უმაგრებს ზურგს? ითქვა, რომ ხელისუფლებას აწყობს ამ ფორმით ყურადღების გადატანა. ასევე, ეს აქცია დაუკავშირეს საპატრიარქოს. რეალურად, ეს არის ლევან გაჩეჩილაძის პოლიტიკაში შემოყვანის მცდელობა? როგორც წესი, ლევან გაჩეჩილაძის პოლიტიკაში შემოყვანას ყოველთვის წინ უსწრებდა „უცნობის“ პერფორმანსები...

– ეს მართალია. შეიძლება ასეც იყოს, შეიძლება ნებისმიერ ძალთა ალიანსთან გვქონდეს საქმე. პოლიტიკაში არავინ მარტო არ თამაშობს. უცნობს შეიძლება ჰყავდეს პოლიტიკური პარტნიორი, არ გამოვრიცხავ, ასეთია პოლიტიკა. „ნაციონალური მოძრაობა“ არ ეძებს პარტნიორებს? გაერთიანებული ოპოზიციის სახელით გვერდით არ ჰყავს გირჩები და ლელოები? ასე რომ, ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესია. ეს არც გასაკვირია და არც მიუღებელი, პირიქით – ხელს შეუწყობს საქართველოში პოლიტიკური ძალების გამსხვილებას, რაც სასურველია.

– რა პერსპექტივა აქვს გაჩეჩილაძეს?

– რა გითხრათ, თვითონ ძმები გაჩეჩილაძეები რას ფიქრობენ ვერ გეტყვით. თქვენ მართალი ხართ, ლევან გაჩეჩილაძე ხან ჩრდილშია, ხან უჩუმრად, ხან ღიად არის ჩართული იმაში, რასაც გია გაჩეჩილაძე აკეთებს და პირიქით, ძმები სინქრონულად მოქმედებენ. გახარიაზე ვლაპარაკობთ როგორც პარტიის შექმნის რეალური შანსის ფიგურაზე. ალბათ, ამ ეტაპზე, კარგი იქნებოდა მათი გამთლიანება. თავის მხრივ, გახარიას არ აქვს ასეთი საჯარო სტიქიური პროცესების მოწყობის გამოცდილება და სტილი, „უცნობს“ კი არ აქვს გახარიას აკადემიური სტილი. ასე რომ, გახარია და გაჩეჩილაძე კარგად შეავსებდნენ ერთმანეთს, ვნახოთ. თავისი საქმე თვითონ იციან.

– გახარია-გაჩეჩილაძის ფაქტორს ჩრდილში გადაჰყავს ოპოზიცია? იგივე IRI-ის კვლევაც კი ამბობს, რომ საკმაოდ რთულ მდგომარეობაშია ოპოზიცია და ამ ვითარებამდე ისინი გამოცხადებულმა ბოიკოტმა მიიყვანა...

– ოპოზიცია გაჰყვა „ნაციონალურ მოძრაობას“ და აღმოჩნდნენ ნულოვანი რეიტინგის პირობებში. ეს ნაწილი, ალბათ, პრაქტიკულად გაქრება პოლიტიკური სცენიდან. რაც შეეხება „ნაციონალურ მოძრაობას“, რომელიც იგივე IRI-ის ბოლო გამოკვლევაში, მეტ-ნაკლებად, მნიშვნელოვანი პროცენტის მატარებელია, მისი რეიტინგიც საგრძნობლად დაიკლებს. თუკი ძლიერი მესამე ალტერნატივა გაჩნდება, ბევრი მათგანი ვინც თავს იკავებდა, ხმას მისცემს ამ მესამეს. უფრო მეტიც, ბევრი მათგანი, ვინც „ნაციონალური მოძრაობის“ მხარეს იყო, ხმას მისცემს მესამე ძალას, იმ შემთხვევაში, თუ ის ძლიერი აღმოჩნდება. არსებობს ასეთი გამოთქმა – **სადაც ყველა გაიქცევა, მეც იქით გავიქცევი**. როცა კონკრეტულ პარტიას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს, ან რაიმე ფირმის ტანსაცმელს იცვამს ბევრი, სხვებიც ამას იმეორებენ. ტანსაცმელის შემთხვევაში ვამბობთ, რომ მოდა არისო და პარტიების შემთხვევაშიც იგივე შეგვიძლია ვთქვათ. თუ მესამე პოლიტიკური ძალის მხარდაჭერა მოდაში შემოვიდა, მაშინ ნაციონალების მხარდამჭერებიდან ბევრი აჰყვება ამ მოდას და ამ მხრივაც დაკარგავენ მხარდამჭერებს. ამიტომ მიმაჩნია, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ნელნელა უახლოვდება რეიტინგულ ფსკერს.

– ეს უკვე ნიშნავს, რომ ფსკერისკენ მიდის საკაკაშვილი, რომლის გარშემო შეკრებილია ქართული ოპოზიციური სპექტრი?

– პოლიტიკური ფსკერისკენ მიდის საკაკაშვილიც, მაგრამ მას კიდევ მეორე ფსკერი ელოდება – უკრაინული. უკრაინაში როგორ დამთავრდება მისი სახელის გარშემო დაწყებული კორუფციული საქმეების გამოძიება, ეს ჯერ კიდევ უცნობია. ამიტომ შეიძლება, უკრაინამაც საკაკაშვილისთვის ცუდი ნაბიჯები გადადგას. იგი უკრაინის მოქალაქეა, დანაშაული უკრაინაშია ჩადენილი და უკრაინული სასამართლო იქნება საკაკაშვილის ბედის გადამწყვეტი.

ჯერჯერობით უცნობია, ვისი გავლენით შემოიყვანა ზელენსკიმ საკაკაშვილი პოლიტიკაში. მაშინ იყო ჭორები და ახლაც გაახსენდათ ეს ჭორები, რომ საკაკაშვილი შეიძლება რუსული გავლენით და რეკომენდაციით შემოიყვანა. ამ ვერსიას ისიც ამყარებს, რომ მთელი მსოფლიო ლაპარაკობს საომარი მოქმედების განახლებაზე დონბასის რეგიონში და ფრაზა – რუსი ოკუპანტია, რომელიც ასე „უყვარს“ საკაკაშვილს, არც ერთხელ არ უთქვამს.

ვნახოთ, არ არის გამორცხული, რომ იმან, ვინც რეკომენდაცია გაუწია ზელენსკისთან საკაკაშვილს, მანვე იზრუნოს საკაკაშვილის გადარჩენაზე. ამიტომ, საკაკაშვილის ბედ-იღბალი შეიძლება ასეთი ერთმნიშვნელოვანი არ იყოს უკრაინაში, მაგრამ მისი და მისი პარტიის ბედ–იღბალი საქართველოში არის ის, რაც მოგახსენეთ – მიდის ფსკერისაკენ.

ესაუბრა
თამთა ძარჩავა

№ 79-80. ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ-ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 14-15 ᲐᲞᲠᲘᲚᲘ, 2021 ᲬᲔᲚᲘ.



„ᲣᲙᲣᲚᲛᲐᲠᲗᲘ“, „ᲓᲐᲛᲚᲣᲜᲕᲔᲚᲘ“ ᲐᲖᲠᲔᲑᲘ ᲓᲔᲓᲐᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲠᲩᲔᲜᲐᲓ!

ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲡ ᲤᲘᲠᲤᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲔᲑᲘ – 1978

ᲫᲐᲚᲐ ᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘᲐᲠ – ეს სიმრძნე ისტორიულმა გამოცდილებამ ათქმევინა ქართველ კაცს. ერთობის ძალის დემონსტრირება იყო სწორედ 1978 წლის 14 აპრილი!..

ქართველი საზოგადოება შეკრა ჭეშმარიტი ქართველი ინტელიგენციის პატრიოტულმა სულისკვეთებამ და უძლეველი ახალგაზრდული ძალის ერთობამ...

ის, ვისაც 1956 წლის მარტის ტრაგიკული დღეები ახსოვდა, უმედურების მოლოდინით შესცქეროდა მოვლენების განვითარებას და ამიტომაც 14 აპრილს ფაზრიკა-ქარხნები მიატოვეს და შვილების გვერდით დადგნენ რუსთაველზე...

და მოხდა ის, რასაც ბევრი ვერც ინატრებდა: – საბჭოთა იმპერიამ უკან დაიხია (მგონი პირველად თავისი არსებობის მანძილზე)... დღესაც თვალწინ მიდგას რუსთაველზე გაჩერებულ ტროლეიბუსზე შემომსხდარი პატარა ბიჭები – ხელში ეჭირათ შავი ჩანთები, რომლებზეც ცარცით იყო წაწერილი – **„დედაენა“**...

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, ბრძოლის შემდეგ „გმირთა“ რაოდენობა დღითიდღე იზრდებოდა... ბევრი ისეთი ვინმეც იბრალებდა „სარდლობას“, 14 აპრილის წინა დღეებში აშკარად თუ ფარულად გულმოდგინედ რომ არწმუნებდა საზოგადოებას, ახალი კონსტიტუცია დიდი სიკეთეაო, ბედნიერებას მოგვიტანსო და მხარი დავუჭიროთო... იმდროინდელმა პრესამაც არაერთი ასეთი სახელი „უკვდავყო“, აღფრთოვანებული რომ მოგვიწოდებდა პროექტის მხარდაჭერისაკენ...

მეტიც, დემონსტრაციის დაწყების წინაც კი ცდლობდნენ სტუდენტების გადარწმუნებას... დემონსტრანტებს კოსტავას ქუჩაზე, ბელინსკის კუთხეში, რამდენიმე „მოღვაწე“ დახვდა და ნუ წახვალთ წინო, სთხოვდნენ, ნუ იღუპავთ თავსო... ბევრი მათგანი მეორე დღეს ხმამაღლა ამაყობდა, ჩვენ რომ არ გვეთავკაცა, ვერ გავიმარჯვებდითო...

ამ წერილში ერთ მომენტზე მინდა გავამახვილო ყურადღება: **როგორ აგორდა პროტესტის ტალღა;** ვინ იყო ის, ვინც პირველმა დააკვესა პროტესტის ნაპერწკლები; ვინ შეაგროვა ეს ნაპერწკლები და აქცია **„ერთ დიდ ცეცხლად ჩემის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობად“**... ჭეშმარიტი ინტელიგენციის ღვაწლი მინდა გავიხსენო...

ჩემი საუბარი ძირითადად დაემყარება 2018 წელს „არტანუჯის“ მიერ გამოცემულ წიგნს „**14 აპრილი 1978**“ (შეადგინა **ანა ბაქანიძემ**) და საკუთარ მოგონებებს... შევეცდები, მოვლენები დავალაგო ქრონოლოგიურად და მადლობა ვუთხრა უფროს კოლეგებს, ვინც სერიოზული რისკის ფასად აუდიტორიებსა თუ დარბაზებში აღვივებდა პროტესტის ცეცხლს, ამზადებდა 14 აპრილს...

* * *

საერთოდ კრემლის მიერ გამიზნული კონსტიტუციური ცვლილების გააზრებაში, საპროტესტო მუხტის გაჩენასა თუ გაღვივებაში **ფასდაუდებელია აკაკი ბაქრაძის როლი:**



1978 წლის 23 მარტს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში თათბირზე იხმეს კულტურისა და განათლების მუშაკები (იდეოლოგიური განყოფილების გამგის დონეზე) და „საიდუმლო“ გაანდეს: ხვალ გამოქვეყნდება ახალი კონსტიტუციის პროექტი; იქვე გაუფრთხილებიათ, რომ არის ცვლილება, „ამოღებულია ერთი მუხლი, სადაც ეწერა, რომ საქართველოს სსრ-ის სახელმწიფო ენა არის ქართული“ და მოუწოდეს თათბირის მონაწილეებს, სერიოზულად მოჰკიდებოდნენ პროექტის განხილვას და უზრუნველეყოთ საყოველთაო მხარდაჭერა... შეკითხვაზე, რატომ მოხდა ეს, ცკ-ის განყოფილების გამგეს უპასუხია, „წინა კონსტიტუციაში მოკავშირე რესპუბლიკათაგან ეს მუხლი მხოლოდ ქართველებსა და სომხებს გვქონდა და იმპერიამ წყალობა მოიღო ჩვენზე, რომ გაგვათანაბრეს სხვებთან“... ცხადია, ცინიზმიც გამიზნული იყო...

მოგვიანებით ამ ფაქტს კომპარტიის მეხოტბეებმა ასეთი ინტერპრეტაცია მისცეს: მთავრობამ წინასწარ შეამზადა საზოგადოება სერიოზულ პრობლემასთან შესახვედრად და „ბუნტის“ პროვოცირება მოახდინა ამ თათბირზეო... ძნელი სათქმელია... ვთქვით, ომის შემდეგ გმირობას ბევრი იბრალებს... ფაქტი ერთია: **ერთადერთი, ვინც იმ თათბირზე მძაფრი პროტესტი გამოედა, აკაკი ბაქრაძე იყო**! მას უცდია დასაბუთება ამგვარი ცვლილების მავნებლური მიზნებისა და დაასკვნა თურმე: **„ქართველი ხალხი არ დაუშვებს კონსტიტუციურ შეურაცხყოფას!“**

ამ პროტესტს თათბირზე ვითარება დაუძაბავს... ა. ბაქრაძეს მხარი დამსწრეთაგან (კულტურის, ხელოვნებისა და განათლების მსახურნი იყვნენ!) ხმამაღლა ვერავინ დაუჭირა... ასე იშვა და აგორდა საპროტესტო „გუნდა“, რომელიც მალე ზვავად იქცევა...

ეს ამბავი ქალაქს სასწრაფოდ მოედო... კონსტიტუციის პროექტი მეორე დღეს უნდა გამოქვეყნებულიყო...

24 მარტს გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა ახალი კონსტიტუციის პროექტი... ბომბივით გავარდა 75-ე მუხლის ამბავი: ენას გვართმევენ ქართველებსო... **ქართული ენისადმი ქართველი კაცის დამოკიდებულებისა** და **აკაკი ბაქრაძის ავტორიტეტის წყალობით** აგორებული საპროტესტო აზრი ძალას იკრებდა...

იმავე დღეს, 24 მარტს, ცკ-ში ისევ იკრიბებიან – კულტურისა და ხელოვნების, განათლებისა და მეცნიერების მუშაკები, პარტიული აქტივი... კრებას **ედუარდ შევარდნაძე** უძღვებოდა... მკაცრი დავალება მიიღეს: ერთსულოვანი მხარდაჭერა უნდა უზრუნველვყოთო... ბევრი ცნობილი პიროვნების ავტორიტეტი და ღირსება გაწირა ე. შევარდნაძემ იმ კრებაზე, როცა პიროვნულად მოსთხოვა მათ თავიანთი აზრის გამოთქმა... ერთ-ერთ ცნობილ მოღვაწეს ისიც უთქვამს, მეტი ბედნიერება რა გინდათ, რუსული იქნება სახელმწიფო ენაო... (ა. ბაქრაძე გვარებს არ ასახელებს „მოგონებაში“, თანამდებობებს – კი...).

შეკრებაზე ვითარება მაშინ დაიძაბა, როცა სიტყვა **აკაკი ბაქრაძემ** მოითხოვა... **„75-ე მუხლს არ მიიღებს ქართველი ხალხი... ჩვენი ხალხი მოიქცევა მდგომარეობის შესაბამისად!“** – ეს იყო დასკვნა, რომელიც ვრცელ მსჯელობას მოაყოლა ა. ბაქრაძემ... მოულოდნელობას თავისი ეფექტი ჰქონდა... მაგრამ მერე ხელისუფლის საამებლად ერთმანეთს ასწრებდნენ თურმე „უკუღმართი“ აზრის დაგმობას...

დიდად ცნობილ მეცნიერს უთქვამს: „მე გამაკვირვა ბაქრაძის გამოსვლამ. ჩვენ ყველამ ვიცით, რომ სახელმწიფო ენა არის რუსული და უხერხულიც კი არის სახელმწიფო ენად ქართული მოვითხოვოთ. ჩვენი კონსტიტუციის თანახმად არავინ გვიკრძალავს ქართულად ლაპარაკს და ეს უდიდესი მიღწევაა“... თუ რა საფრთხის წინაშე იდგა ქვეყანა, ამ კომენტარიდანაც ჩანს...

იწონებდნენ კონსტიტუციის პროექტს; გმობდნენ ა. ბაქრაძის „უკუღმართ“ პოზიციას...

კრება ე. **შევარდნაძემ** შეაჯამა და დაასკვნა: **„75-ე მუხლი არ შეიცვლებაო“**...

ა. ბაქრაძე იგონებს: „მომავალი ამბებისთვის ამ კრებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თბილისში თვალის დახამხამებაში გავრცელდა მისი ამბავი... **დაიწყო საზოგადოებრივი აზრისა და კომუნისტური პროპაგანდის ბრძოლა“**... პროგრესული აზრი ნოყიერ ნიადაგში მოხვდა...

26 მარტს ცკ-ს დადგენილება გამოქვეყნდა: **მოსახლეობისგან მოითხოვდნენ ერთსულოვან მხარდაჭერას...**

და დაიწყო საჯარო განხილვათა სერიები... წახალისება მხარდამჭერებისა და შეჩვენება მოწინააღმდეგეებისა...

პირველი საპროტესტო გახმაურებული შეკრება **თბილისის უნივერსიტეტში** შედგა: **30 მარტს** გაიმართა თსუ **ახალი ქართული ენის კათედრის** სხდომა. დოცენტმა **ბესარიონ ჯორბენაძემ** სცადა, მეცნიერულად დაესაბუთებინა 75-ე მუხლის აბსურდულობა... (ტექსტი მოგვიანებით დაიბეჭდა ჟურნალში „ბურჯი ეროვნებისა“ 1996 წ.)... იყო სხვა გამოსვლებიც... მომხსენებელმა თავისი ხელით ჩაიტანა მოხსენების ტექსტი პარტკომში... ეს იყო საგანმანათლებლო სისტემაში პირველი საპროტესტო შეკრება... სტუდენტებში საპროტესტო აზრი უკვე გაღვივებულია... ქართული ენის კათედრის სხდომამ საპროტესტო მუხტი გაზარდა... ბრძოლის მიზანს მეტი სინათლე შესძინა...

31 მარტს „ლიტერატურული საქართველო“ აქვეყნებს ინფორმაციას, რომ მწერალთა კავშირში კრება ჩატარდა და მწერლებმა მხარი ახალ პროექტს დაუჭირესო... აღშფოთდნენ მწერლები: თურმე, მწერალთა სახლის მომსახურე პირები შეუკრებიათ, შემთხვევით შესწრებია რამდენიმე მწერალი... როცა იონა ვაკელს, მურმან ლებანიძესა და ნოდარ წულეისკირს პროტესტი გამოუთქვამთ 75-ე მუხლის გამო, კრება სასწრაფოდ დაუხურავთ... ინფორმაცია კი გაავრცელეს, მწერალთა კავშირი მხარს უჭერსო... აღშფოთებული **მწერლების ნამდვილი კრება 12 აპრილს** ჩატარდა... ვიტყვით ქვევით... მივყვეთ ქრონოლოგიურად.

4 აპრილს გაიმართა **ენათმეცნიერების ინსტიტუტის** საერთო კრება. ეს იყო **მეცნიერებათა აკადემიის** სისტემაში **პირველი** საპროტესტო შეკრება. მოხსენება პროფ, **თინათინ შარაძენიძემ** გააკეთა (ტექსტი დაიბეჭდა ზემოხსენებულ ჟურნალში 1996 წ.); საკმაოდ ხანგრძლივად გაგრძელდა დასაბუთებული მსჯელობა, რა მნიშვნელობა აქვს ენას ერისთვის; რას ნიშნავს სახელმწიფო ენა და რატომ უნდა იყოს ქართული ენა სახელმწიფო ენა... იყო სხვა გამოსვლებიც... კრების ოქმი გაიგზავნა პარტიის რაიკომში... აკადემიკოსი **არნოლდ ჩიქობავა** კრებას ვერ დაესწრო; პირადი საპროტესტო წერილი გაუგზავნა მთავრობას... შეშფოთდნენ პარტიული ამხანაგები... პარტრაიკომის ინსტრუქტორი (პოეტი იყო ერთი...) ცდილობდა, დაეყოლიებინა ინსტიტუტის პარტკომი პოზიციის შეცვლაზე... ამაოდ... იმუამად ფილოსოფიის ინსტიტუტში ემზადებოდნენ კრებისთვის; ამ ინსტრუქტორს დაურეკავს – „ისეთი სისულელე არ ჩაიდინოთ, რაც ენათმეცნიერებმა გაკეთესო“...

ერთ აკადემიურ ინსტიტუტში 4 აპრილამდე ჩაატარეს კონსტიტუციის მხარდამჭერი კრება... ენათმეცნიერების ინსტიტუტის ამბები რომ გახმაურდა, აიძულეს ადმინისტრაცია, განმეორებით განეხილათ პროექტი...

საპროტესტო მუხტი, განსაკუთრებით სტუდენტობაში, იზრდებოდა...

ასევე გახმიანდა **11 აპრილს ისტორიის ინსტიტუტში** გამართული კრების ამბები. მომხსენებელი პროფესორი **ზაზა ალექსიძე** იყო... სულ რამდენიმე განხილვა იყო ასეთი ხმაურიანი...

ᲘᲮ. 15 ᲒᲕ.

ერთხელ ანთებული ვარსკვლავი აღარ ქრება...

დიდი მსახიობის გარდაცვალებიდან 50 წელიწადი გასულა...

ზაქარიაძე და დანიელ ოლბრიხსკი - „მეგობრობამ არ იცის ასაკი“

1970 წლის მაის-ივნისში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთში ერთთვიანი გასტროლებისას სერგოს ყოველდღე უწევდა სცენაზე ყოფნა - იგი ხომ არა მარტო რუსთაველის თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, არამედ უპირველესი მსახიობი იყო. ზოგჯერ ერთსა და იმავე საღამოს რამდენიმე როლით უწევდა მაყურებელთა წინაშე წარდგომა (მაგალითად, რუსთაველელთა სხვადასხვა სპექტაკლებიდან შედგენილ „ქართული კლასიკის“ სცენებში – „სიბრძნე სიცრუიდან“ დაწყებული და „ჭინჭრაქათი“ დამთავრებული). საგასტროლო მარათონის დროს (პოზნანიდან ვარშავაში გასტროლის გაგრძელებამდე) თეატრს სამდღიანი „ამოსუნთქვის საშუალება“ მიეცა და იგი დასმა პოლონეთის დედაქალაქის ღირშესანიშნაობების გასაცნობად გამოიყენა.

ერთ-ერთ ასეთ, სპექტაკლისგან თავისუფალ საღამოს სერგომ ვარშავის პოვსეხნის თეატრში თავისი ახალგაზრდა მეგობრის დანიელ ოლბრიხსკის სასცენო შემოქმედების ხილვა განიზრახა, რომელიც, „ჰამლეტში“ მთავარ როლს თამაშობდა..

მათ – უკვე სახელმოხვეჭილმა სერგო ზაქარიაძემ და ახალგაზრდა, თუმცა უკვე პოპულარულმა მსახიობმა დანიელ ოლბრიხსკიმ, ერთმანეთი 1969 წელს მოსკოვის კინოფესტივალზე გაიცნეს. მათი ერთობლივი, ერთმანეთის მხრებზე ხელიხელგადახვეული ერთობლივი ფოტო სახელწოდებით: „მეგობრობამ არ იცის ასაკი“, ორივე ქვეყნის არაერთმა ჟურნალ-გაზეთმა დაბეჭდა.

სერგო ზაქარიაძე და რამაზ ჩხიკვაძე სპექტაკლში ჭინჭრაქა

მაგრამ ზუსტად იმ დღეს შეუძლოდ მყოფი ოლბრიხსკი სპექტაკლში... მისმა დუბლიორმა ჩაანაცვლა... სერგო წარმოდგენას ბოლომდე დაესწრო და ტაშითაც დააჯილდოვა თავისი ახალგაზრდა მეგობრის სასცენო დუბლიორი...

აღნიშნულის თაობაზე, რა თქმა უნდა, დანიელ ოლბრიხსკიმ მაინც შეიტყო... მოგვიანებით ჟურნალისტებს ერთ-ერთ ინტერვიუში განუცხადა, თუ როგორ განიცდიდა, რომ ზაქარიაძემ ვერ შეძლო სცენაზე მისი შექსპირისეული გმირის ხილვა და რომ ეს სინანული მას სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვებოდა...

საერთოდ, ამ გასტროლებზე ადგილობრივი მაყურებლებისა და რიგითი მოქალაქეების კეთილგანყობის აურა განუყრელად სდევდა ზაქარიაძეს და მისგან უხვად გადაეცემოდა დასის დანარჩენ წევრებსაც...

„ახალგაზრდათა ჟამირი...“

როგორც წესი, თაობებს შორის ყოველთვის არსებობს ფასეულობათა სისტემის განსხვავებული იერარქია, სამყაროს, რეალობის რამდენადმე განსხვავებული აღქმა და პრიორიტეტები – უფროსი თაობა, როგორც წესი, უფრო კონსერვატორია, ახალგაზრდა თაობა კი – უფრო რადიკალურად განწყობილი. ამ მხრივ ზაქარიაძე გამორჩეული იყო, მას განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ახალგაზრდებისადმი – უყვარდა, ენდობოდა, ხელს უწყობდა მათ პროფესიულ და კარიერულ ზრდას. მის ამგვარ შინაგან მრწამსს, კონსტიტუციას აძლიერებდა ისიც, რომ სწორედ მარჯანიშვილის თეატრის ახალგაზრდა მსახიობები იყვნენ მისი ერთმნიშვნელოვანი მხარდამჭერები და დამცველები, როდესაც მას 1940-იანი წლების ბოლოს თეატრის დასის უფროსი თაობის ერთი ნაწილი დაუპირისპირდა. ახალგაზრდები გრძნობდნენ და ხედავდნენ სერგოს ამგვარ დამოკიდებულებას, მზრუნველობას. ამიტომაც იყო იგი მათი კერპი, მეგობარი, შთაგონების წყარო და დამკვალიანებელი. მაგალითები?! - უამრავია!

მასთან დაპირისპირებულ მარჯანიშვილელთა დასის ერთი ნაწილის წარმომადგენლის შვილი ფაქტობრივად ბოდიშს უხდიდა სერგო ზაქარიაძეს მამის პოზიციის გამო; ახალგაზრდა დამწყები პოეტის **ლია სტურუას** მისი შემოქმედებისა და პიროვნებისადმი მიძღვნილი ლექსებით გავსებული ხელნაწერი რვეული; **თემურ ნაცვლიშვილს ანა კალანდაძის** ლექსზე დაწერილი ცნობილი სიმღერის „საქართველო, ლამაზოს“ დაწერის სურვილი ზაქარიაძის მიერ ამ ლექსის საოცარი შთაგონებით წაკითხვით მიღებულმა შთაბეჭდილებებმა განაპირობა.

დიდი მსახიობის მიერ დრამატურგიაში კალმის მოსინჯვის რჩევისთვის სიცოცხლის ბოლომდე მისი მადლიერი იყო მწერალი **ოტია იოსელიანი**; მას, როგორც დიდ მსახიობს, სამხატვრო ხელმძღვანელს და დამრიგებელს, „თვალებში შესცინებდა“ რუსთავის დრამატული თეატრის ახალგაზრდული გუნდი... თვით ბატონი სერგოს შვილი, **ბატონი გურამი** იხსენებდა, თუ როგორი ხანგრძლივი მეგობრული საუბრები ჰქონდათ მამა-შვილს მსახიობის სიცოცხლის ბოლო წლებში.

ასაკში სხვაობისდა მიუხედავად, მასთან მეგობრობით დღემდე ამაყობს ბატონი **გოგი ხარაბაძე** და ამ მეგობრობის ამსახველი არაერთი მოგონება გაუზიარა მკითხველს...

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №77-78

ზაქარიაძის ყურადღება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საკუთარი, დრამატული თეატრის დასის ახალგაზრდა წევრებით - იგი თვალყურს ადევნებდა ხელოვნების სხვა სფეროებში გამოჩენილ ტალანტებს და სადაც ჯერ არს, სიტყვასაც შეაწევდა მათ. განსაკუთრებით პატივს სცემდა ახალგაზრდა **ზურაბ სოტკილავას** და **ლიანა ისაკაძეს**.

ზოგადად, ზაქარიაძე თავისი ავტორიტეტით, სიტყვით, მოქმედებით გზას უხსნიდა ახალგაზრდებს, ნიჭიერებს და გულწრფელად ხარობდა მათი წარმატებებით.

ახალგაზრდებიც გრძნობდნენ მის ამგვარ დამოკიდებულებას და სიყვარულითა და გაზრდილი პროფესიული პასუხისმგებლობით პასუხობდნენ.

ამჟამინდელი გადასახედიდან, ახალგაზრდების მისდამი დამოკიდებულების სიმბოლურ დატვირთვას იძენს ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო ფაქტი: როდესაც რამდენიმეწლიანი იძულებითი „შესვენების“ შემდეგ, მარჯანიშვილის თეატრში ზაქარიაძის ტრიუმფალური დაბრუნება შედგა ურიელ აკოსტას როლით ამავე სახელწოდების ლეგენდარულ სპექტაკლში (1950 წ.), მისი დასრულების შემდეგ აპლოდისმენტებისთვის მადლიერების სათქმელად გამოსული მსახიობისთვის ყვავილების **ექვსი** კალათიდან **ერთი** მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დრამატულ წრეში მისი მოსწავლეების – **ჯულიეტა ვაშაყმაძისა** და **დალი კეტაშვილის** მიერ იყო მირთმეული.

„მეფე ლირი“ - კრემლის ყრილობათა სასახლის სცენაზე

1966 წლის შემოდგომაზე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ დიდი ზარ-ზეიმით აღინიშნა რუსთაველის 800 წლისთავი. იმ დროს გაიხსნა რუსთაველის ძეგლი მოსკოვში ბოლშაია გრუზინსკაიაზე, ხოლო დიდი ქართველი პოეტის სახელობის საქართველოს უპირველესი დრამატული თეატრის დასს გასტროლებისათვის დიდსულოვნად დაეთმო კრემლის ყრილობათა სასახლის სცენა. რეპერტუარში შექსპირის „მეფე ლირიც“ იყო, რომლის პრემიერაც სერგო ზაქარიაძის გარდაცვალებამდე ზუსტად 5 წლით ადრე – 1966 წლის 13 აპრილს შედგა.

ამ სპექტაკლის შემდეგ სცენის კულისებში საკუთარი შთაბეჭდილების გაზიარებასა და აღფრთოვანების გამოხატულებას სპექტაკლითა და სერგოს მიერ შესრულებული როლით ერთმანეთს არ აცლიდნენ მოსკოვის სამხატვრო თეატრის მსახიობი **ბორის ლივანოვი** და პოეტი **ნიკოლოზ ტიხონოვი**.

ეს სახელები, რომლებიც ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებს შეიძლება, ბევრს არაფერს ეუბნება, თავის დროზე მთელს საბჭოეთში ქუხდა. – ბორის ლივანოვი იყო სსრკ სახალხო არტისტი, ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი, ხოლო ნიკოლოზ ტიხონოვი – სამგზის სტალინური და ორგზის ლენინური პრემიის ლაურეატი (ერთგზის – ლიტერატურული მოღვაწეობისათვის და „მეორეგზის“ – „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“).

არც ერთი მათგანი არ იყო პიროვნება, რომელიც ხათრით რამეზე უკან დაიხევდა ან საკუთარ პრინციპებთან კომპრომისზე წავიდოდა, მით უფრო – ვინმეს დაუმსახურებელი დითირამბებით შეამკობდა. ცნობილი ფაქტია, რომ ლივანოვი სტალინის განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობდა და როდესაც ამ უკანასკნელმა მთელი საათი დაუთმო მასთან საუბარს სტალინური პრემიის ლაურეატებისთვის გამართულ ბანკეტზე და საუბრისგან მიღებული შთაბეჭდილებით კმაყოფილმა ბოლოს ჰკითხა, რომ ასეთი მოაზროვნე მსახიობი რატომ არ შედიოდა პარტიაში, ლივანოვმა მოურიდებლად უპასუხა, რომ იგი დიდ პატივს სცემდა... საკუთარ ნაკლოვანებებს...

რაც შეეხება ნიკოლოზ ტიხონოვს, იგი ქართველი მწერლების დიდი მეგობარი, საქართველოსა და მისი კუთხეებისადმი მიძღვნილი არაერთი პოეტური კრებულის ავტორი იყო, „ზედაზენზეც იყო ასული“ (საქართველოს თემატიკაზე დაწერილ მისი ერთ-ერთი ლექსის სახელწოდებას რომ დავესესხოთ) და მან, როგორც სსრკ უმაღლესი სახელმწიფო პრემიების კომიტეტის თავმჯდომარემ, სულ რაღაც ხუთიოდე თვის წინ გადასცა ლენინური პრემიის მოწმობა სერგო ზაქარიაძეს და ახლა უკვე ახალ შემოქმედებით გამარჯვებას ულოცავდა დიდ მსახიობს.

პოპულარობის პიკი. კოლეგების შური

ზაქარიაძე „გაწეწვაზე“ იყო თავისი სამსახიობო, ადმინისტრაციული თუ საზოგადოებრივი ფუნქციების შესრულებაში. – ქვეყნის უპირველესი დრამატული თეატრის დირექტორი, ორი თეატრის (რუსთაველისა და რუსთავის) სამხატვრო ხელმძღვანელი, ყველა და ყველანაირი კონკურსის ჟიურის წევრი...

დიდი მსახიობის პორტფელი სამომავლო თეატრალური თუ კინოროლების პიესებითა და კინოსცენარებით იყო „გაძეძგილი“. აკადემიკოსი **გიორგი ჯიბლაძე**, რომელმაც იგი საავადმყოფოში გარდაცვალებამდე სამიოდე დღით ადრე ინახულა, იხსენებდა, თუ როგორ გაუმხილა სერგომ მას, რომ ათზე მეტ როლზე ჰქონდა შეთავაზება, საიდანაც ხუთზე მუშაობა ფაქტობრივად უკვე დაწყებული ჰქონდა... და ეს იმ დროს, როდესაც მისი ერთი კოლეგა, სსრკ სახალხო არტისტი, ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი, ჩიოდა, მთელი დღე სახლში ვზივარ და ტელეფონის ყურმილს მივჩერებივარ, იქნებ ვინმემ დამირეკოსო...

შური და ინტრიგა თეატრისთვის (ისევე როგორც ნებისმიერ სფეროში) უცხო არ არის. ზაქარიაძის სიცოცხლის ბოლო წლებში მისდამი შური არ გამქრალა, თუმცა მისი უზომო პოპულარობისა და სახელის ფონზე ეს გრძნობა შედარებით ნაკლებად, მაგრამ პერიოდულად მაინც „იელვებდა“, ოლონდ – შეცვლილი ტაქტიკით. – რადგანაც ნიჭის ელვარების არაღიარება უკვე აღარ გამოდიოდა, რაღაც აბსტრაქტულ ბრალდებებზე გადადიოდნენ. ერთი ცნობილი მსახიობი, ზაქარიაძეზე საუბრისას აცხადებდა, რომ მას თურმე, „ყველაფერი თეატრისთვის, ხოლო თეატრი კი – თავისთვის უნდოდა“ (?!). ამ ფრაზაში მხოლოდ პირველი ნახევარი წარმოადგენს ჭეშმარიტებას, მეორე ნაწილი კი სრული აბსურდია! – ზაქარიაძესთან მიმართებაში ეს იგივეა, არქიტექტორს – მისი პროექტით ტაძრის აშენების ან მწერალს რომანის ან ლექსის გამოქვეყნების სურვილი „დააბრალო“. 1966 წელს სსრკ-ში უმაღლესი ჯილდოს სახით მიღებული პრემია სერგო ზაქარიაძემ მთლიანად ამ პრემიის აღსანიშნავად თეატრში გამართულ ბანკეტზე დახარჯა, ხოლო გერმანიაში გასტროლებზე ყოფნისას ტელევიზიით ვრცელ გამოსვლაში აღებული ჰონორარით თეატრისთვის ჩაის სერვისი შეიძინა: „ქვეყნის სტუმრები გვყავს თეატრში, წესიერი ჭურჭელი კი არა გვაქვს მათი გამასპინძლებისთვისო“. ამიტომაც მძიმედ განიცდიდა, როდესაც მავანნი მის გეგმებსა და ქმედებებში რაიმე ქვენა გრძნობას და პირადი სარგებელის დანახვას ცდილობდნენ. ზოგიერთი კოლეგის უსამართლო, ტენდენციურმა დამოკიდებულებამ ზაქარიაძეს ძალიან ატკინა გული და მნიშვნელოვნად დააჩქარა შემოქმედებითი ნიჭის გაფურჩქვნის ხანაში ფატალური შედეგის დადგომა.

სერგო ზაქარიაძე ოიდიპოსის როლში

გარდაცვალების შემდეგ პანაშვიდზე მის სახლში პირველად მისული რუსთაველის თეატრის ახალგაზრდა მსახიობები გააოცა დიდი მსახიობის სადად გაწყობილმა ბინამ; ოტია იოსელიანი მოგვიანებით წერდა, თუ რა „ოსტატურად“ ფარავდა კედლის ბზარს ზაქარიაძის ბინაში კედელზე გაკრული ხალიჩა...

იოსებ არჩვაძე,
2021 წლის მარტი-აპრილი
ტელ. 599 32 18 98

(დასასრული მორიგ ნომერში)

№ 79-80. ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ-ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 14-15 ᲐᲠᲘᲚᲘ, 2021 ᲬᲔᲚᲘ.

ᲛᲐᲠᲘᲪᲐ ᲛᲐᲦᲚᲐᲤᲔᲠᲘᲫᲘᲡ „ᲪᲘᲡᲐᲠᲢᲧᲔᲚᲐᲡ ᲤᲔᲠᲔᲑᲘ“...

ᲛᲔᲝᲪᲔ **საუკუნის 70-იან წლებში აქტიური და შინაარსიანი შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობდა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო კათედრაზე. აქ უნდა წარმოჩინდეს კათედრის გამგის, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის, პროფესორ ნოდარ ჯაფარიძის დიდი ღვაწლი, ორგანიზაციული და პროფესიული თვისებები. ამ დროს კათედრაზე მოღვაწეობდნენ მოწვეული დირიჟორები: დიდიმ მირცხულავა, ზაქარია ხუროძე, თამაზ ჯაფარიძე, ანზორ კავსაძე, რევაზ ტაკიძე. მაღალი დონის საოპერო სპექტაკლები იდგმებოდა კონსერვატორიის დიდი დარბაზის სცენაზე, ხოლო სხვადასხვა ოპერების ცალკეული მონაკვეთები მზადდებოდა კლასებში და მათი წარდგენა-მოსმენა სცენაზე ხდებოდა. საოპერო პარტიების მომზადებაში, დამუშავებასა და შესწავლაში ჩართულნი იყვნენ მაღალპროფესიონალი კონცერტმაისტერების — მარია კამოევა, ტატიანა დუნენკო, ელენე ტერიშვილი, იულია ბასისტი, ლალა კისილიოვა, ნელი ხოშტარია, იულია აფანასიევა, ალა ჩოჩიევა, ლეილა სილიკაშვილი...მომღერლის ზრდა-განვითარებისა და საჭირო ჩვევების ჩამოყალიბებისთვის ეს მართლაც იდეალური სკოლა და საშუალება გახლდათ. ამის შემდეგ მომღერალს თავისუფლად შეეძლო ნებისმიერ საოპერო თეატრის სცენაზე გამოსვლა. მრავალმა ცნობილმა მომღერალმა გაიარა თბილისის საოპერო სტუდიის საჭირო სასცენო პრაქტიკა, რამაც განაპირობა მათი შემდგომი წარმატება.**

საოპერო სპექტაკლებში, თქვენს მონამორჩილსაც უხდებოდა გამოსვლა. სწორედ აქ მოხდა ჩემი შეხვედრა მარიცა მაღლაფერიძესთან. იგი როგორც ლირიკო-დრამატული სოპრანო, ჩემ პარტნიორს წარმოადგენდა ვერდის ოპერა „ტრავიატასა“ და პუჩინის ოპერა „ბოჰემას“ ნაწყვეტების ჩვენების დროს. იგი შესაბამისად ვიოლეტას და მიმის წამყვან პარტიებს ასრულებდა. მარიცას მაშინდელი ხმა და შესრულება ისევ ცოცხლობს ჩემში, რადგან ის შთაბეჭდილება ახლაც მახსენებს თავს. მისი რბილი და მომფერებელი, ულამაზესი ტემბრის ხმა თავისუფლად ჟღერდა ყველა რეგისტრში; ლირიულ ეპიზოდებში იყო ნაზი და ჰაეროვანი, დრამატულის დროს კი მძაფრი, გამომხატველი და დამაჯერებელი. მაღალ ნოტებში მისი ხმა სხვადასხვანაირ შეფერილობას იღებდა და ობერტონების უხვი ჟღერადობით იყო გაჯერებული; შესრულების მანერა და სტილი ორიგინალური და თავისებური (მარიცასეული) ჰქონდა. სიმღერის დროს არ იყო დაძაბული, პირიქით, მშვიდად მოსმენის საშუალებას იძლეოდა, რაც თავისთავად გადამდებად მოქმედებდა პარტნიორზე. მახსოვს, როგორი მონდომებით და დაუზარელად მუშაობდა დირიჟორთან, რომლის რჩევასაც მომენტალურად ითვისებდა და ასრულებდა, რაც მის განსაკუთრებულ მუსიკალურობას უსვამდა ხაზს. მეჩვენებოდა, რომ თითოეული ფრაზის, ბგერის თუ ნოტის გახმოვანების დროს თავისი ინტერპრეტაცია და ინდივიდუალობა შეჰქონდა, თუმცა არასოდეს გასცდენია კომპოზიტორის ჩანაფიქრს და ზუსტად გადმოსცემდა მუსიკალური წყობის მთლიან ხაზს, შინაარსსა და ხასიათს. უკვე მაშინვე იგრძნობოდა, რომ მარიცა მაღლაფერიძეს მეტად საინტერესო შემოქმედებითი გზა ელოდა წინ. ასეც მოხდა!

იგი ქალაქ ქუთაისში 1948 წლის 16 აგვისტოს გივი მაღლაფერიძისა და გოგუცა ქართველიშვილის ოჯახში დაიბადა.

ამ სტრიქონების ავტორი კარგად იცნობს ქუთაისს და ქუთაისელებს, ვინაიდან 5 წელი აქ სწავლობდა ინსტიტუტში. ჩვენი საერთო და სამაისო ქუთაისი საერთოდ თავისი გასაოცარი იმერული სტუმართმოყვარეობით, ხელოვნებისადმი, განსაკუთრებით კი სიმღერისადმი გამორჩეული სიყვარულითაა ცნობილი. აქ ვერ ნახავთ ოჯახს, სადაც ერთი წევრი მაინც არ მღეროდეს. მომღერალი ოჯახები ხომ რამდენიც გნებავთ! ამის სამაგალითოდ საამაყო და სახელგანთქმული დები იშხნელებიც იკმარებდა! სწორედ ასეთთა რიცხვს მიეკუთვნებოდა მარიცა მაღლაფერიძის ოჯახი, სადაც თითქმის ყველა მღეროდა (იგი აუცილებელ სულიერ მოთხოვნილებად იყო ქცეული). ალბათ, გასაკვირი არაა, რომ მარიცა და მისი ორი დაიკო სიმღერას ბავშვობიდანვე ეზიარნენ. იმ დროს ქუთაისში არსებულ პიონერთა სასახლეში შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა მუსიკალური ორკესტრი კოტე ფარულავას ხელმძღვანელობით. ამ ორკესტრთან ერთად მარიცას და მის დებს კონცერტებით შემოვლილი აქვთ მოსკოვი, პეტერბურგი და მთელი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები.ასე რომ, პატარა გოგონას მუსიკალური გემოვნება, სიყვარული და მისადმი დიდი ინტერესი ბავშვობიდანვე ჩამოუყალიბდა.

ამასობაში მარიცა ქუთაისის მე-11 საშუალო სკოლას ამთავრებს და ვოკალის დაუფლების მიზნით, თბილისის პირველ მუსიკალურ სასწავლებელში იწყებს სწავლას ბარიტონ ნოდარ ჯაფარიძესთან, რომელსაც 1969 წელს ამთავრებს. ამას მოჰყვა სწავლის გაგრძელება ორი სხვადასხვა მიმართულებით: აბარებს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ენერგეტიკის ფაკულტეტზე, პარალელურად სწავლას განაგრძობს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ვოკალურ ფაკულტეტზე, პროფესორ გულნარა ქართველიშვილთან. ცოტა რამ გულნარა ქართველიშვილის შესახებ: მას, როგორც ვოკალისტს (დამთავრებული ჰქონდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის, დიდ ვანო სარაჯიშვილთან ერთად, ქართული ვოკალური სკოლის დამფუძნებლისა და შემქმნელის, გამოჩენილი ბარიტონის სანდრო ინაშვილის კლასი) პედაგოგიური სტაჟირება გავლილი ჰქონდა იტალიაში, რომის სანტა-ჩეჩილიას კონსერვატორიაში და ერთ-ერთ წამყვან, გემოვნებიან პედაგოგად ითვლებოდა ვოკალის განხრით. მისი სტუდენტები იყვნენ შესანიშნავი მომღერლები — ცისანა ტატიშვილი, მაია თომაძე, ევგენია ინველტი, ნაირა გლუნჩაძე, მანანა ევაძე...

მარიცა მაღლაფერიძე 1974 წელს ამთავრებს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს, ხოლო ერთი წლის შემდეგ კონსერვატორიას. აქ უკვე აშკარად გამოიკვეთა მისი მომავალი საქმიანობა. მარიცამ სიმღერაში კონსერვატორიის სახელმწიფო გამოცდა წარმატებით ჩააბარა და საგამოცდო კომისიის თავმჯდომარის, საქვეყნოდ აღიარებული მაესტროს, ოდისეი დიმიტრიადის მაღალი შეფასება და მოწონება დაიმსახურა, რომელმაც ახალგაზრდა მომღერალს, თავისი რეკომენდაციით, გზა გაუხსნა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრისკენ. 1975 წელს მარიცა მაღლაფერიძე ოპერის თეატრის სოლისტი ხდება. და აი, აქედან იწყება ქართული კულტურის და საოპერო ხელოვნების სასახლის ჭერქვეშ დაუღალავი შრომის, ძიების, შემოქმედებითი მიღწევების და მისგან მიღებული სულიერი აღმაფრენის წლები. ახალგაზრდა მომღერალი აქტიურად ერთვება თეატრის ყოველდღიურ ცხოვრებაში. ახალ-ახალი საოპერო ნაწარმოებებით იზრდება მისი საშემსრულებლო რეპერტუარი. მაღლაფერიძე აქ უკვე თავის ბუნებრივ მონაცემებს ამჟღავნებს, რაც მას აძლევს თეატრში წამყვანი სოლისტის დამკვიდრების საშუალებას.

ისე როგორც მსოფლიოს თითქმის ყველა ეროვნების წარმომადგენლები, ქართველებიც საქვეყნოდ აღიარებული იტალიური ვოკალური სკოლის დასაუფლებლად ამ ქვეყნისკენ მიისწრაფოდნენ. მაშინ იტალიაში სასწავლებლად, მოსკოვის თანხმობის გარეშე ვერ მოხვდებოდი. როგორც თქვენმა მონა-მორჩილმა 70-იან წლებში გაიარა შესარჩევი კონკურსი მოსკოვში, მარიცა მაღლაფერიძესაც ასევე მოუწია ამ კონკურსის გავლა. ჟიურის თავმჯდომარეობდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ცნობილი მეცო-სოპრანო ირინა არხიპოვა. მისი კონკურსზე გამოსვლა იმდენად სრულყოფილი და მომნუსხველი იყო, რომ ჟიურის წევრმა ვლადიმერ პიავკომ შთაბეჭდილებებისგან ცრემლებიც კი ვერ შეიკავა. თავისი აღფრთოვანება ვერ დამალა კოზლოვსკიმაც. და აი, 1985 წელს ქართველი სოპრანო მილანში ჩადის და „ლა სკალას“ სტაჟიორთა ჯგუფთან ერთად იწყებს მეტად აუცილებელ და საჭირო წვრთნას ვოკალში, მსოფლიოში ცნობილ მეცო-სოპრანოსთან ჯულიეტა სიმიონატოსთან. ქალბატონი მარიცა სწრაფად მოერგო იტალიური სწავლების მეთოდებს: ხმის დაყენების, იტალიური ენისა და საოპერო რეპერტუარის გაზრდისა თუ დაუფლების შესაძლებლობებს. 1986 წელს ბუსეტოს აკადემიაში საკონცერტო პროგრამით გამოსვლის შემდეგ მაღლაფერიძემ ერთ-ერთი უდიდესი ტენორის კარლო ბერგონცის აღიარება და შექება დაიმსახურა, რომელმაც მისი ხმა „ცისარტყელების ფერებს“ შეადარა. ამის შესახებ იტალიურმა გაზეთმა - „Gazzetta di Parma“-მ თავის ფურცლებზე ფართოდ აღნიშნა. კარგად მახსოვს, 1964 წელს „ლა სკალას“ მოსკოვში გასტროლების დროს, დიდი თეატრიდან ვერდის ოპერა „ტრუბადურის“ რადიო ტრანსლაცია, სადაც მანრიკოს პარტიას კარლო ბერგონცე, ხოლო აზუჩენას პარტიას ჟულიეტა სიმიონატო ასრულებდნენ.

მომღერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იტალიიდან დაბრუნების შემდეგ და მანამდეც, მან თეატრში განხორციელებული არაერთი ქართველი კომპოზიტორის მიერ შექმნილი ოპერის საპრემიერო დადგმაში მიიღო მონაწილეობა, სადაც ყოველთვის წამყვან პარტიებს ასრულებდა. ჩამონათვალი მართლაც შთამბეჭდავია: მზია, ფეფო (თაქთაქიშვილის „მინდია“, „ნიშნობა“), შუშანიკი (კვერნაძის „იყო მერვესა წელსა“), სილვანა (ყანჩელის „და არს მუსიკა“), ნაცარქექიას ცოლი (დავითაშვილის „ნაცარქექია“), ქარუხნიშვილის — „გალობანი მარიამ ღვთისმშობლისა“, მაღლაფერიძისადმი სპეციალურად მიძღვნილი ჩლაიძის მონო ოპერა — „წიგნი ნესტან დარეჯანისა“. შთამბეჭდავი იყო მისი ეთერი და მარო ზაქარია ფალიაშვილის გენიალურ ოპერებში - „აბესალომ და ეთერი“ და „დაისი“. იგი უდიდესი ინტერესით და პასუხისმგებლობით ეკიდებოდა უცხოურ რეპერტუარს, რომელთა რიცხვშია: პამინა, დონა ელვირა (მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტა“, „დონ ჯოვანი“), მიმი, მადამ ბატერფლაი, ლაურეტა (პუჩინის „ბოჰემა“, „ჩიო-ჩიო-სანი“, „ჯანი სკიკი“), დეზდემონა, ამელია, ელისაბედი, ლეონორა (ვერდის „ოტელო“, „ბალ მასკარადი“, „დონ კარლოსი“, „ტრუბადური“), ტატიანა, იოლანტა (ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინი“, „იოლანტა“). მარიცა საქართველოს კამერულ ორკესტრთან (დირიჟორი ლიანა ისაკაძე) ერთად ტრიუმფით გამოდის თურქეთში, სადაც არკაბონეს პარტიას ასრულებს ბახის კანტატაში „ამადეუს გალელი“, ჩადის დუისბურგის სერგეი პროკოფიევის სახელობის ფესტივალზე და გელზენკირხენში მღერის რენატას პარტიას ოპერაში „ცეცხლოვანი ანგელოსი“, დამაჯერებელი და მაღალპროფესიულია მისი მონაწილეობა ვერდის და მოცარტის „რეკვიემში“, მაესტრო ჯანსულ კახიძის დირიჟორობით. შინაგანი ემოციით და გატაცებით გადმოსცემს სოპრანოს პარტიას როსინის „მცირე საზეიმო მესაში“. მას ოვაციებს უმართავს და ხანგრძლივი ტაშით აჯილდოებს მოსკოვის, პეტერბურგის, საბჭოთა რესპუბლიკების, იტალიის, საფრანგეთის, გერმანიის, თურქეთის ქვეყნების მომთხოვნი მაყურებელი. წლების განმავლობაში ქართველი სოპრანო ღირსეულ პარტნიორობას უწევდა ისეთ ცნობილ მომღერლებს, როგორებიც არიან: ზურაბ ანჯაფარიძე, მედეა ამირანაშვილი, ნოდარ ანდღულაძე, პაატა ბურჭულაძე, რევაზ კაკაბაძე, ლადო ათანელი, ვირგილიუს ნორეიკა და სხვები. მისი მოღვაწეობა თბილისის საოპერო თეატრში 35 წელს მოიცავს.

ამოუწურავია მაღლაფერიძის კამერული პროგრამა, რომელიც ქართული რეპერტუარიდან დაწყებული მოცარტის, შუმანის, შუბერტის, ბრამსის, რახმანინოვის და სხვა არა ერთი კომპოზიტორის მუსიკალურ ქმნილებებში გამოიხატა. იგი ქართული კამერული რეპერტუარის ერთ-ერთ საუკეთესო შემსრულებლად ითვლება. მას 1989 წელს საქართველოს სახალხო არტისტის საპატიო წოდება მიენიჭა.

„მარიცა მაღლაფერიძე საკუთარ ინსტრუმენტს — მშვენიერ, მოსალბუნე ტემბრის, ფართო დიაპაზონის სოპრანოს — ლაღად ფლობს. ტექნიკური რესურსები მომღერლისთვის, მხატვრული სახის ხორცშესხმის საშუალებაა და არა დამოუკიდებელი ღირსება, რომლითაც თავი უნდა მოიწონოს ვოკალისტმა... მაღლაფერიძისეული შესრულება უწინარეს ყოვლისა, ლირიზმით, გულის სიღრმიდან მომდინარე მუსიკალობით, განცდათა სიწრფელით გვიზიდავს... მის მიერ ხორცშესხმულ პერსონაჟებს ერთი საერთო თვისება ანათესავებთ. ეს არის კდემა, სულის სინაზე, ქალური მიმზიდველობა, ღრმა ლირიზმი, რაც ყოველ ფრაზაში გამოსჭვივის...“ — წერს მუსიკათმცოდნე რუსუდან ქუთათელაძე.

მარიცა მაღლაფერიძე გამორჩეული პედაგოგია. იგი ვოკალის განხრით წლების მანძილზე აღმზრდელობით საქმიანობას ეწეოდა თბილისის პირველ მუსიკალურ სასწავლებელში, 7 წელი კი სახელმწიფო კონსერვატორიაში. ამჟამად, მომღერალი თავისი დიდი გამოცდილებით, ვაჟიშვილის, თბილისის ოპერის თეატრის წამყვანი ტენორის, ანზორ ხიდაშელის ვოკალურ წარმატებებს და წინსვლას უწყობს ხელს. ამავე დროს შვილიშვილის ლუკას და რძლის ლელა ზარნაძის ყოველდღიური ბედნიერებით ხარობს და ამით სულიერ ტკბობას განიცდის.

კვლავაც ჯანმრთელობა და ოჯახური მყუდროება ვუსურვოთ მარიცა მაღლაფერიძეს, ღვაწლმოსილ და ღირსეულ ქალბატონს.

ᲒᲔᲚᲐ ᲫᲝᲫᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი
(ტელ. 551 49 19 97)

170 ᲬᲔᲚᲘ ᲝᲞᲔᲠᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲘᲓᲐᲜ

170 ᲬᲚᲘᲡ წინათ, 1851 წლის 12 აპრილს, თბილისში ოპერის თეატრი გაიხსნა. საქართველოს ეროვნული არქივი ისტორიულ ფოტოს აქვეყნებს.

მათივე ინფორმაციით, ილუსტრაციები ფრანგული ჟურნალიდან „L'illustration Journal Universel“. 1851 წლის 25 ოქტომბერი. ილუსტრაციები ახლავს ფრანგი დიპლომატის ედმონდ დე ბარერეს სტატიას ოპერის თეატრის გახსნასთან დაკავშირებით.

თეატრი, რომელიც 700 მაყურებელს იტევდა, თბილისში, დღევანდელ თავისუფლების მოედანზე იყო განთავსებული. შენობა იტალიელმა არქიტექტორმა ჯოვანი სკუდიერიმ დააპროექტა, ინტერიერი კი მხატვარმა გრიგორი გაგარინმა გააფორმა.

შენობა 1874 წლის 11 ოქტომბერს ხანძარმა გაანადგურა.

სიბეცე და აშკარა ტყუილი!

რატომ არ უნდა დავსვათ ტოლობის ნიშანი თურქეთსა და რუსეთს შორის?!

მიუხედავად იმისა, რომ „რიონის ხეობის მცველები“ ცალსახად გაემიჯნნენ პროტესტისას რიგი პირების მიერ გაჟღერებულ ქსენოფობიურ განცხადებებს, განმარტეს, რომ მათ პრეტენზიები არა ნამოხვანჰესის მშენებელ კომპანიასთან ან ჰესებთან, ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობასთან, არამედ ხელისუფლებასთან აქვთ და გეგმავენ დიპლომატებთან ინფორმირების მიზნით კომუნიკაციას, რიგი ჯგუფები პროტესტის მა-

ინც ეთნორელიგიური კუთხით წარმოჩენას, საზოგადოებაში ანტითურქული განწყობების გაღვივებას ცდილობენ.

პროცესში აქტიურად ჩაერთნენ რუსული მედიასაშუალებებიც ძირითადი ფოკუსით, რომ სადღეისოდ საქართველოსთვის მთავარი საფრთხე სწორედ თურქეთია: **„ნეოოსმალიზმის იდეოლოგიასა და ერდოღანის საგარეო პოლიტიკაზე დაყრდნობით, რაც გამოიხატება პანთურქიზმში, თურქულ სალაფიზმსა და სხვა გამოწვევებში, საქართველოს სუვერენიტეტის და რეგიონის ყველაზე დიდი გამოწვევა დღეს თურქეთია“; „თურქეთმა ყარსი-ახალქალაქი-ბაქოს რკინიგზითა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტებით მიიბა საქართველო და ამჟამად ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ექსპანსიას ახორციელებს“ — სწორედ მსგავს ხაზს ვაწყდებით რუსული მედიასაშუალებების პუბლიკაციებში, აქცენტი კი კეთდება ისტორიულ წარსულზე; ქართულ კულტურულ ძეგლებზე, რომელთაც თურმე თურქეთში შეგნებულად ანადგურებენ; განსხვავებულ რელიგიურ მრწამსზე; აჭარის რეგიონის მიტაცების მცდელობაზე; მაგრამ არა ქვეყნის უსაფრთხოების მთავარ გამოწვევაზე — რუსულ ოკუპაციაზე და თანმდევ ადამიანურ ტრაგედიებზე: საოკუპაციო ხაზთან შიშში მცხოვრებ ადამიანებზე, მავთულხლართებით გაყოფილ ოჯახებზე, გატაცებულ, ნაწამებ მოქალაქეებზე და დაუსჯელ მკვლელებზე, არც იმაზე, რომ ერთადერთი მეზობელი, რომელთანაც საქართველოს სახელმწიფო საზღვარი დადგენილი აქვს, სწორედ მეზობელი თურქეთია.**

მსგავსი ნარატივები შეუმჩნეველი არც საქართველოში თურქეთის ელჩს და როგორც თავად ამბობს, საკითხის მოკვლევის შემდეგ აღმოაჩინა, რომ „მსგავსი სიბეცე და აშკარა ტყუილი როდესაც დღის წესრიგში დგება, ეს არა საქართველოდან, არამედ საქართველოს გარედან მოდის“.

„ვეცადე, მიმეკვლია ვებ-გვერდებისთვის. შემიძლია, თამამად ვთქვა, რომ ესენი გახლავან ჯგუფები საქართველოს ფარგლებს გარეთ, რომლებიც ამის პედალირებას ახდენენ. რატომ? იმიტომ, რომ საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობები კავკასიის რეგიონში სტაბილურობის ჩონჩხია: როდესაც გეოსტრატეგიულ ლანდშაფტს შეხედავ, დაინახავ, რომ იგი თურქეთიდან მოდის, საქართველოდან მიდის კასპიის ზღვის მიმართულებით.

მათ (დეზინფორმაციის ავტორებს — რედ.) სურთ, ეჭვის შექმნა. 2021 წელში ვიმყოფებით! ყარსის ხელშეკრულება არ შეწყდება, ბათუმის უკან დაბრუნებას არ მოვითხოვთ, სამცხე-ჯავახეთში სამხედრო ძალებს არ გავაგზავნით — ეს ღიად შემიძლია, გითხრათ. გვინდა, ადამიანები მსგავს ახალ ამბებს კრიტიკული კითხვებით კითხულობდნენ და უსმენდნენ. ეს მოდის გარედან, მაგრამ პოულობენ საარგებლო მასალებს შიგნით. გვჭირდება მედეგობა ყალბი ახალი ამბების წინააღმდეგ და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არ გახლავთ ისეთი რამ, რის იგნორირებასაც მოვახდენთ“, — განაცხადა თემის კომენტირებისას საქართველოში თურქეთის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა **ფატმა სერენ იაზგანმა**.

„ეს არახალია: რუსეთი დიდი ხანია, მსგავსი ნარატივების საზოგადოებაში დამკვიდრებას ცდილობს“, — ამბობს „აქცენტთან“ საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი **ზურაბ ბატიაშვილი** და იქვე დასძენს, რომ **„რუსეთს ჰყავს ორგანიზებული ჯგუფები, მათ შორის, საქართველოში, რომლებიც იგივე მედიასაშუალებებში, სოციალურ ქსელებში ავრცელებენ დეზინფორმაციას და ძირითადი მიზანი რუსეთსა და თურქეთს შორის ტოლობის დასმაა, რაც წარმოუდგენელია: საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებული ტერიტორიის 20% დღეს რუსეთს აქვს ოკუპირებული და იგი დღესაც ეწევა ოკუპაციას, გამოყრილი ჰყავს მოსახლეობა, სჩადის ყველა სახის დანაშაულს“.**

ამ კონტექსტში ბატიაშვილი იხსენებს ყარსის ხელშეკრულების ირგვლივ აზვირთებულ პროპაგანდისტულ კამპანიასაც, რომ თითქოს ხელშეკრულებას 100 წელი უსრულდება, ვადა გასდის და რომ „თურქეთი მიიტაცებს აჭარას“: **„გავიდა ასი წელი, მაგრამ ხელშეკრულებას ვადა არ გასვლია. რატომ? ვინც ხელშეკრულებაში ჩაიხედავს, დაინახავს, რომ მას ვადა არ აქვს, მაგრამ ამ და მსგავსი თემებით მუდმივად სპეკულირებენ რუსები და რუსეთთან დაკავშირებული ჯგუფები. ანალოგიური განწყობების გაღვივებას ცდილობდნენ აზერბაიჯანის შემთხვევაში დავით-გარეჯის კონტექსტშიც“:** ბატიაშვილი მიზნებს შორის შესაძლებლობების ფარგლებში ანტიდასავლური გრძნობების გაღვივებასაც განიხილავს:

„თუ ერთ დღეს საქართველო ნატოს წევრი გახდება, პირველი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში საქართველოს უნდა დაეხმაროს, მეზობელი თურქეთია, რადგან უშუალო სამეზობლოში ნატოს წევრი სხვა ქვეყანა არ გვყავს. ამიტომ, ეს ნარატივი დასავლური ორიენტაციის წინააღმდეგ მიმართულიცაა. დღეს თურქეთი ჩვენი გზაა დასავლეთისკენ, №1 სავაჭრო პარტნიორია, გვაქვს ერთობლივი პროექტები, საიდანაც ჩვენს ბიუჯეტში სოლიდური თანხები შემოდის, ჩვენი ათასობით მოქალაქე ცხოვრობს და მუშაობს თურქეთში. ძალიან ბევრი რამ გვაკავშირებს თურქეთთან და ამის გაფუჭება სურთ. ზოგადად, ყველა მეზობელთან, თუ მას შენს მიმართ აგრესიული პოლიტიკა არ აქვს, უნდა გსურდეს ნორმალური ურთიერთობების ქონა. მეზობლებს ვერ ირჩევენ, გეოგრაფიას ვერ შევცვლით, ამიტომ, ამ სამეზობლოში უნდა ვიცხოვროთ და ვითანამშრომლოთ მეზობლებთან. რაც შეეხება სტრატეგიული პროექტების იმგვარად შემოთავაზებას, თითქოს რკინიგზა და ნავთობსადენი ჩვენს ინტერესებში არ შედის და გვაიძულეს, უკაცრავად, ეს პროექტები საქართველოს მოქალაქეების შემოსავლის წყაროა. ზოგ ჯერ იმგვარ აბსურდამდე მიდის რუსული ნარატივი, მასზე საუბარიც კი რთულია. აქ სამწუხარო ისაა, რომ ქვეყანაში განათლების დონის პრობლემაა და სწორედ ამით სარგებლობენ როგორც რუსული, ისე პრორუსული ძალები. სამწუხაროდ, არც წინას და არც ამჟამინდელ ხელისუფლებას ბევრი არაფერი გაუკეთებია განათლების სისტემის ძირეული რეფორმირებისთვის. ამიტომ, მსგავსი, ზოგჯერ აბსურდამდე მისული ნარატივები მომავალშიც გვექნება და სამწუხაროდ, მხარდამჭერებიც ეყოლება“.

რაც შეეხება ისტორიულ წარსულსა და კულტურული ძეგლების განადგურების მცდელობას, როგორც ბატიაშვილი აღნიშნავს, ძეგლების კუთვნილებას საფავოს არავინ ხდის, მეტიც, ამჟამად რესტავრაცია მიმდინარეობს: „იშხნის“ (შუა საუკუნეების ძეგლი. მდებარეობს ტაოში-რედ.) რესტავრაცია დასრულდა და ახლა ოშკის **(მე-10 საუკუნის ქართული სამონასტრო ცენტრი. მდებარეობს ტაოში — რედ.)** რესტავრაცია მიმდინარეობს. რესტავრაციას თურქეთის ხელისუფლება ახორციელებს და მასში კონსულტაციების დონეზე ქართველი სპეციალისტებიც არიან ჩართულები. მათ თურქული მხარე ქართულ კულტურულ ძეგლებად აღიარებს, უფრთხილდებიან. ეს ძეგლები რეგიონში ტურიზმის განვითარებისთვისაც მნიშვნელოვანია.

რაც შეეხება ისტორიულ წარსულს, აქ საინტერესოა, სად და ვისთან იხსენებ: ბუნებრივია, ისტორიკოსი მსჯელობს, მაგრამ საქართველოში გვახსოვს მიტინგები **„ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“ ძახილით და ისიც გვახსოვს, ვნახეთ ამან სადამდე მიგვიყვანა! რეალისტები უნდა ვიყოთ, საერთაშორისო წესებს, საზღვრებს, ცივილიზებულობას პატივი უნდა ვცეთ და ჩვენც მისი ნაწილი უნდა ვიყოთ. სამწუხაროა, რომ ხშირად თავად ხელისუფლებაა პირდაპირ თუ ირიბად წამქეზებელი ჯგუფების, რომლებიც მსგავსი ნარატივის გავრცელებაში არიან შემჩნეულნი“.**

პოლიტიკური ექსპანსიის თემაზე საუბრის თეორიულ საფუძველსაც ვერ ხედავს პროფესორი:

„პროთურქული პარტია მაინც რომ არსებობდეს, ამაზე თეორიულად მაინც შესაძლებელი იქნებოდა მსჯელობა, მაგრამ თეორიული საფუძველიც არ არსებობს. აი, პრორუსული ჯგუფები კი ქვეყანაში მრავლადაა, რომლებიც პატრიოტული გრძნობების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას ცდილობენ“.

რუსეთი მზად არის, მაგრამ ჩვენც მზად ვართ

დონბასში ვიზიტისას უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა, რომ უკრაინა მზად არის რუსეთის შემოჭრისთვის.

ვოლოდიმირ ზელენსკიმ აღნიშნა, რომ უკრაინას რუსეთის სრულფასოვანი შემოჭრის შესაძლებლობა 2014 წლიდან აქვს გააზრებული.

„რა თქმა უნდა, ჩვენ ეს ვიცით, 2014 წლიდან ვიცით, რომ ეს შეიძლება მოხდეს. ისინი მზად არიან, მაგრამ ჩვენც ასევე მზად ვართ, რადგან ჩვენს მიწასა და ტერიტორიაზე ვიმყოფებით“, — აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა. უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა დმიტრო კულებამ კი განაცხადა, რომ საფრანგეთისა და გერმანიის ხელმძღვანელობის ქმედებები იმაზეა მიმართული, რომ რუსეთს უკრაინის წინააღმდეგ შემდგომი ესკალაციის უგუნურება გააგებინონ.

„ჩვენ იმ ფაზაში ვიმყოფებით, როდესაც რუსეთმა ყველა არხით რაც შეიძლება მეტი ვერბალური სიგნალი უნდა მიიღოს. გერმანია და საფრანგეთი ამ სიგნალებს აგზავნიან, თუმცა უნდა გვესმოდეს, რომ შეიძლება ისეთი ფაზა დადგეს, როდესაც შეშფოთების გამოთქმა საკმარისი არ იქნება“, — აღნიშნა უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრმა. დმიტრო კულებამ ასევე აღნიშნა, რომ ახლა საჭიროა საუბარი იმაზე, თუ რა პრაქტიკული დახმარება შეიძლება მიიღოს უკრაინამ, მასშტაბური სამხედრო გამწვავების შემთხვევაში.

თანადგომა ორიგინალურად გამოხატეს

იაპონელი დეპუტატი კაცები ორი დღის განმავლობაში სპეციალურ ჟილეტებს ატარებდნენ, რომლებზეც ხელოვნური მკერდი და მუცელი იყო მიმაგრებული

ექსპერიმენტში მმართველი პარტიის სამი დეპუტატი მონაწილეობდა. ინიციატივის მიზანი კი ორსული ქალების პრობლემების გათვითცნობიერება იყო. თითო ჟილეტი 7,3 კილოგრამს იწონიდა და პოლიტიკოსებმა ისინი მხოლოდ ერთხელ - პლენარული სხდომის დროს მოიხსნეს.

„ადგომა, დაჯდომა, უკან გახედვა და სხვა ჩვეული მოძრაობების კეთება ტანჯვის ტოლფასი იყო“, — განაცხადა ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა. მეორემ კი აღნიშნა, **რომ მუცელი დისკომფორტს უქმნიდა. „სახლში ყოველდღიური საქმეების კეთება რთული იყო, მაგალითად აბაზანის გაწმენდა და ფრჩხილების დაჭრა“,** — აღნიშნა მან.

ინიციატივის ავტორი დეპუტატი ტაკაკო სუძუკი იყო. მისი აზრით, ექსპერიმენტი კანონმდებლებს საშუშაო ადგილას ორსულების დისკრიმინაციის პრობლემის გაგებაში დაეხმარებოდა. იაპონიის მთავრობას, რომელშიც ბევრი კაცია, ამის გამო ხშირად აკრიტიკებენ. მაგრამ ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ მსგავსი ექსპერიმენტები უბრალოდ სპექტაკლია და მთავრობამ ორსულების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად უფრო მტკიცე ნაბიჯები უნდა გადადგას.

თავი 5.

ხუმარსიტყვა და გონებამახვილობა

სიტყვები პლასტიკური მასალაა, რომლისგანაც ნებადართულია სხვადასხვა რამერუმის გამოყვანა.

* * *

სიმახვილეს „თავში უეცრად მოსული აზრის“ მკვეთრად გამოხატული ნიშანი აქვს.

* * *

გონებამახვილობა, კომიზმი და სუყოველივე მსგავსი რამ სულიერი მოღვაწეობიდან კმაყოფილების მიღების ხერხები ის გზებია, რომელთა გავლითაც ადვილშესაძლებელია მისვლა ერთი-ერთადერთი პუნქტიდან მხიარულ მდგომარეობამდე – ეიფორიამდე, უკეთუ ის ფსიქიკის საერთო განწყობა არ არის.

* * *

გონებამახვილ ადამიანთ განსაკუთრებულ ნიჭიერებასთან ერთად განსაკუთრებული ფსიქიკური პირობებიც უნდა, რათა გონებრივი სიმახვილე ალესონ და გამოავლინონ.

* * *

უწყინარი ხუმრობის მამოძრავებელი ძალა ხანისად საკუთარი თავის გამოვლინების პატივმოყვარული სწრაფვაა; ენამახვილს აგრეთვე უნდა თავისი გონების ჩვენება, რაიც თანაფარდია სექსუალურ დარგში ექსჰიბიციონიზმთან (ინტიმურ ადგილთა საჯარო გამოჩენასთან).

* * *

ტენდენციური, აგრესიულობასთან დაკავშირებული ენაკვიმატობა ყოვლის უფრორე უკეთესად იმათ გამოსდით, რომელთა სექსუალობაში შეიძლება მძლავრი სადისტური კომპონენტის დამტკიცება, ოღონდ რომელთა ცხოვრებაშიც ის მეტ-ნაკლებად დამუხრუჭებულია.

* * *

ენის სიმახვილე მხოლოდ მაშინ ახდენს მსმენელზე ზემოქმედებას, როცა ის ახალია იმისთვის და უკეთუ მასზე განსაცვიფრებლად მოქმედებს. ენის სიმახვილის ამ თვისებას, რაიც სიმახვილეს ხანმოკლესა ხდის და სულ ახალ-ახალ ენის სიმახვილეს ქმნის, როგორც ჩანს, ის აჩენს, რომ გაოცება ანდა მოულოდნელი რამ ხუმრობა შესაძლებელია მხოლოდ ერთჯერადად.

* * *

სუყოველ ხუმრობას თავისი აუდიტორია ეჭირვება, და უკეთუ ერთი და იგივე ხუმრობა რამდენიმე კაცს აცინებს, ეს დიდ ფსიქიკურ შეთანხმებულობას ამტკიცებს.

* * *

...ენის სიმახვილე თავისთავად ცბიერი ცრუპენტელაა, ერთდროულად ორ ბატონს რომ ემსახურება.

* * *

თუ მხიარულ გუნებაზეა, ალბათ, ბევრ ადამიანს ძალუძს გახუმრება; განწყობისდა მიუხედავად, ხუმრობა მხოლოდ ზოგიერთს შეუძლია.

* * *

ენამახვილობა სუყოველი ფსიქიკური მოღვაწეობის სახეობათაგან ყოვლის უფრორე სოციალურია, რომელი სახეობანიც მიმართულია კმაყოფილების მიღებისკენ.

* * *

ენის სიმახვილეს, ანუ ხუმრობას, ქმნიან, კომიკურს აღმოაჩენენ უწინარესად ადამიანებში, ხოლო მერე გადააქვთ ამა თუ იმ საგანზე, ვითარებაზე.

* * *

ხუმრობის შესაქმებისას აზრი წუთიერად შეუცნობელში იძირება და მერე უეცრად ჩნდება მახვილი სიტყვის სახით.

* * *

აზრი, ხუმრობის შესაქმებისთვის შეუცნობელში ჩაძირული, პოულობს იქ ოდესღაც არსებული სიტყვიერი თამაშის მხოლოდ ძველ კუთხე-კუნჭულს.

* * *

ენამახვილობა იმის საშუალებას გვაძლევს, რომ შევეხოთ ყველაფერს, თუ რამ სასაცილოა ჩვენს მტერში, რის თქმასაც ვერ გავუბედავდით შეგნებულად; ასე და ამგვარად, ენის სიმახვილე გვერდს უვლის შეზღუდვას და ფარდასა ხდის კმაყოფილების წყაროს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №58, 65-66, 69-70, 71-72

* * *

იმ საგანთა შორის, ჩვეულებრივ თავს რომ ესხმის ცინიკური ენამახვილობა, არცრაა უფრორე მნიშვნელოვანი, უფრორე გულმოდგინედ რომ იცავს ზნეობრივ ნორმებს, ამასთანავე, უფრორე თავდასხმისთვის მიმზიდველი, ვიდრე ქორწინებების ინსტიტუტია, რისკენაც ძირითადად მიმართულია ცინიკური ენამახვილობა.

* * *

თავისი აზროვნების პროცესიდან კმაყოფილების მიღების მოთხოვნილება ქმნის სულ ახალ-ახალ ოხუნჯობას, აქტუალურ მოვლენებზე დაყრდნობილს.

* * *

მეორედ გაგონილი ხუმრობა თითქმის შეუმჩნეველი დარჩება, ვერც თეატრალური წარმოდგენა მოახდენს რისამე ისეთივე შთაბეჭდილებას მეორედ, რაიც პირველი ნახვისას მოახდინა; მოზრდილ ადამიანს ძნელად თუ წააკითხებთ ისევ იმ წიგნსაც კი, პირველად რომ ძალიან მოეწონა. კმაყოფილებისთვის მუდამ აუცილებელია სიახლე, ნარუქი სიტყვა.

* * *

მოკლე, ლაკონიური სიტყვა ჯერ კიდევ არ არის მახვილად ნათქვამი. სიმახვილის სიმოკლე, განსაკუთრებული, სწორედ „გონებამახვილური“ სიმოკლეა.

* * *

ირონია მხოლოდ იქ არის შესაძლებელი, სადაც ადამიანი განწყობილია საპირისპიროს მოსასმენად; ასე რომ, ის აუცილებლად წარმოშობს მასში დაპირისპირების სურვილს. ამისდა შედეგად ირონია განსაკუთრებით სულ ადვილად შეიძლება რომ გაუგებარი იყვეს.

* * *

...სუყოველ ადამიანს არ მოსდგამს ხუმარსიტყვა, რაიც ძვირფასი და იშვიათი ნიჭია, ზოგ ადამიანს კი იმის უნარიც არა აქვს, ხუმრობამ სიამოვნება მიანიჭოს.

* * *

პარიპატეტურა, პაროდია, ბერიკაობა, აგრეთვე ამ უკანასკნელის დაპირისპირებულობა – მხილება მიმართულია იმ პირთა და საგნებისადმი, რომელნიც ავტორიტეტულობას იჩემებენ და რაღაცით თვალსაჩინონი არიან. ეს დამცირების ხერხებია.

* * *

დონ კიხოტი დაწყივ განსაკუთრებულად კომიკური იერსახეა, დიდი ბავშვია, რომელსაც რაინდულმა ფანტაზიებმა თავბრუ დაახვიეს.

* * *

კომიკური, არსებითად, შემთხვევით, ანუ ბედიავად ნაპოვნი რამ არის ადამიანთა სოციალურ ურთიერთობათა შორის.

* * *

კომიკური ზემოქმედების უმეტესი ნაწილი, რასაც ცხოველები ჩვენზე ახდენენ, იმათი ისეთი მოძრაობებიდან გამომდინარეობს, რისი მიბაძვაც არ ძალგვიძს.

* * *

მიამიტური ყოვლის უფრორე ახლოა კომიკურის ნაირსახეობის სიმახვილესთან.

* * *

უეჭველად კომიკურია, უკეთუ ვისმე ძალუძს ყურების პარტყუნი და კიდევ უფრო კომიკური იქნებოდა, თუ ვინმე ცხვირის თამაშს, აწევ-დაწევას შეიძლებდა.

* * *

იუმორისტი მოზარდი უპირატესობას იმის შედეგად აღწევს, რომ მოზრდილ ადამიანად გადაიქცევა, თითქოსდა ერთგვარად თავის თავს უიგივებს, უთანაბრებს მამას და სხვა ადამიანთ კი აბავშვებს.

თავი 6.

მასობრივი ფსიქოლოგია

მრავალთა გაერთიანება მუდმივი უნდა იყვეს მტკიცე. უკეთუ ის მხოლოდ ვინმე ერთ სულიერზე, ზეძლიერზე გამარჯვებისთვის იქმნება, და მიზნის მიღწევის შემდეგ იშლება. ამით ჯერ კიდევ არცრა არა წყდება. ვიღაც სხვა, უფრორე ძლიერი, კვლავ აღიძვრის ბატონობისთვის, და ეს თამაში დაუსრულებლად გაგრძელდება.

* * *

აღიარების შედეგად... მიზანთა ერთიანობა წევრთა შორის... ყალიბდება გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფის გრძნობათა ერთიანობა და ერთიანობა გრძნობათა, რაიც იმ ადამიანთა ციხესიმაგრეა.

* * *

...გაერთიანების კანონები ამით განისაზღვრება, რარიგად, რა ხარისხით არის მზად სუყოველი ცალკეული ადამიანი პირადი თავისუფლების მსხვერპლად მიტანისთვის ძალაუფლების მოსაპოვებლად გამოყენებაში, რათა შესაძლებელი გახადოს საზოგადოების წევრთა ერთად ცხოვრება.

* * *

უკეთუ რელიგიურის ადგილას გაჩნდება სხვა რამ ურთიერთობანი, ხალხის გამაერთიანებელი, როგორც ამჟამად არის, ჩანს, საქმე გამოსდის სოციალიზმს, შედეგად გაჩნდება ესეგვარივე მოუთმენლობა სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ, როგორც რომ რელიგიური ომის ჟამს...

* * *

რაც შეეხება ინტელექტუალურ მოღვაწეობას, უნდა ვაღიაროთ გონებრივი მუშაობის უმნიშვნელოვანესი შედეგები, აღმოჩენები, რასაც ბევრი რამ საყურადღებო მოსდევს, მოსდევს აგრეთვე მარტო განმარტოებით გამრჯელი ინდივიდის ხელმისაწვდომ პრობლემათა გადაწყვეტა. მაგრამ მასობრივ სულსაც ძალუძს გენიალური სულიერი შემოქმედება, როგორც ამას ამტკიცებს თავდაპირველად ენა, მერე ხალხური სიმღერა, ფოლკლორი და ა.შ. ამის გარდა, უცნობია, რამდენი მოაზროვნე და პოეტია დავალებული თავისი შთაგონების გამო იმ მასისგან, რომელ მასაშიც ისინი ცხოვრობენ; იქნებ ისინი სულაც უფრორე სულიერი სამუშაოს შემსრულებელნი არიან, რა სამუშაოშიც ერთდროულად სხვანიც მონაწილეობენ.

* * *

ყოვლის უფრორე საკვირველი და ამავე დროს, მასის მნიშვნელოვანი ფენომენია ეფექტურობის ამაღლება, რაიც სუყოველ ცალკეულ ინდივიდს უჩნდება.

* * *

მრავალრიცხოვანი ეფექტური ურთიერთობანი, რასაც მასაში ვამჩნევთ, საკმაოდ განმარტავენ ერთ-ერთ იმის დამახასიათებელ თვისებას: ინდივიდის პირადი თაოსნობის ნაკლებობას, დანარჩენთა რეაქციებთან იმის რეაქციის ერთტიპობრიობას, ასე ვთქვათ, მასობრივი ინდივიდის როლთან იმის შეწყობას.

* * *

სუყოველ უკიდურეს გამოვლინებამდე მასა აღეგზნება მხოლოდ ნამეტანი გაღიზიანებით. ვისაც იმ მასის მართვა სწადს, იმას საკუთარი დასაბუთების არცრა ლოგიკური შეფასებანი არ სჭირდება; მან უნდა ხატოვნად ასახოს ყოვლის უფრორე მკაფიო სურათები, გაადიდოს და განიმეორეს სუყოველი ერთი და იგივე.

* * *

...ინდივიდი მასაში იმ პირობებშია, რაც აგულებელყოფინებს თავის შეუცნობელ ლტოლვათა გამოდევნას. ინდივიდის მიერ გამოვლენილი ახალი ვითარსი თვისებები სხვა არა არის რა, თუ არა ამ შეუცნობელის ანარეკლი, რაშიც ადამიანის ბოროტების მთელი სულია; ამ პირობებში ძნელი არ არის სინდისის ანდა პასუხისმგებლობის გრძნობის გაქრობის გაგება.

* * *

...მასები არცროდის ჭეშმარიტების წყურვილის გაგებაში არ ყოფილან. ისინი ილუზიუმს ითხოვენ, რა ილუზიებზეც დაუარება არ ძალუძთ. ირეალურს იმათ თვალში მუდამ უპირატესობა აქვთ რეალურის წინაშე, არარსებული იმათზე ისევე ძლიერ მოქმედებს, როგორც არსებული. იმათ ერთი რასმე მეორისგან გარჩევის ტენდენცია ახასიათებთ.

* * *

...მასა ექვემდებარება სიტყვის ჭეშმარიტად მაგიურ ძალას, მასობრივ სულში ყოვლის უფრორე საშინელ სწრაფვას აღძრავს და იმავდროულად ამ სულის დაშოშმინების უნარიც შესწევს.

(გაგრძელება მომდევნო ნომერში)

„ყოველთვის სულ იმის ცდაში ვარ, რომ ადამიანში, ქალშიც და კაცშიც, უწინარესად, ხასიათის საუკეთესო თვისებები დავინახო“,



— აგრე იტყოდა ზიგმუნდ ფროიდი

ქართულად გადმოაქნა
გურამ გოგიაშვილმა

№ 79-80. ოთხშაბათი-ხუთშაბათი, 14-15 აპრილი, 2021 წელი.

მინისტრი თეატრებით ინტერესდება

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი სამინისტროს გამგებლობის ფარგლებში მოქმედ ორგანიზაციებში ვიზიტებს განაგრძობს.

კულტურის სამინისტროს ცნობით, ამჯერად, სამუშაო შეხვედრა სსიპ თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში გაიმართა.

მინისტრმა თეატრის რეაბილიტირებული შენობა დაათვალიერა და თეატრის ხელმძღვანელობასთან ერთად სამომავლო გეგმებსა და პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების ფონზე თეატრის გახსნის შესაძლებლობაზე იმსჯელა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიული სახელმწიფო თეატრი ახალი მოდელის თეატრი უნდა გახდეს, სადაც არა მხოლოდ ამ თეატრის დასს, არამედ სამინისტროს სხვა ორგანიზაციებსა და კერძო სფეროში მოქმედ ხელოვანებსაც მიეცემათ საშუალება საკუთარი შემოქმედება გაიცნონ საზოგადოებას.

შეხვედრაზე თეატრის წინაშე არსებულ ფინანსურ გამოწვევებზეც შედგა საუბარი და გადაწყდა, რომ უახლოეს დღეებში თეატრის ხელმძღვანელობა ამ გამოწვევების გადაჭრის გზებზე საკუთარ ხედვას წარუდგენს მინისტრს, რის შემდეგაც შესაბამისი გადაწყვეტილებები იქნება მიღებული.

* * *

ამჯერად შეხვედრა თბილისის გიორგი მიქელაძის სახელობის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრის ხელმძვანელობასთან გაიმართა.

თეატრის წარმომადგენლებმა მინისტრს თეატრის სამომავლო გეგმებზე, უახლოეს დღეებში თეატრალური სეზონის გახსნასა და იმ პრობლემებზე მიაწოდეს ინფორმაცია, რაც თეატრის წინაშე მწვავედ დგას.

თავის მხრივ თეა წულუკიანმა თეატრის ხელმძღვანელობას შესთავაზა, სამინისტროს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტის – ახალგაზრდებისთვის კულტურასა და სპორტზე მეტი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, თოჯინების თეატრის ტურნეები დაიგეგმოს რეგიონებში. თეატრის ხელმძღვანელობამ მინისტრის ინიციატივა გაიზიარა და აღინიშნა, რომ პანდემიის ფონზე, თეატრის ფუნქციონირებისთვის მსგავსი პროექტები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.

მინისტრმა თეატრის შემოქმედებით ჯგუფს მათ საქმიანობაში სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 2021 წლის „12“ აპრილის №01-01-3/185 ბრძანების შესაბამისად

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

N	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	საბადო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა	საწყისი ფასი (ლარი)	ზე-ს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი (ლარი)
1	ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელი რიყეთი (მდ. „აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინების“ I უბანი.)	ქვიშა-ხრეშის გამოვლინება	P_2	1 წელი	24 988 m^3	21 730	6 720
2	ხულოს მუნიციპალიტეტი სოფელი რიყეთი (მდ. „აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინების“ II-უბანი)	ქვიშა-ხრეშის გამოვლინება	P_2	1 წელი	24 912 m^3	21 665	6 700
			ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით; ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით; გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე საშუალო წლიური მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 2,0 მ-ს; დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში; ე)ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, გზის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა (გზის საფუძვლისა და ასფალტობეტონის საფარის მოწყობა) ასევე				
	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის		წიაღისეულის ტრანსპორტირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალების ღერძზე დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ“ აჭარის ა.რ. კანონით გათვალისწინებულ ნორმას. ვ) ლიცენზიის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის კოორდინატების თვალსაჩინოდ მონიშვნა. ზ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება; თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით; ი) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის; კ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა; ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები; მ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს; ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); ო) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, პ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს კანონის „საავტომობილო გზების შესახებ“ მე-16 მუხლის „თ“ პუნქტის შესაბამისად მოპოვებითი სამუშაოების დაწყებამდე				
			საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტში წარადგინოს ტრანსპორტის შესასვლელი და გამოსასვლელი სქემატური ნახაზი და გზის საფარის მოწყობა განახორციელოს საავტომობილო გზის საფარის იდენტურად გზის ღერძიდან 30 მეტრის ფარგლებში ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის N100 ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების ტექნიკის წესები.				
3	ხულოს მუნიციპალიტეტი, მთა ლოდისძირის მიმდებარე ტერიტორია,მდ. „ქვაბლიანი“-ს მარჯვენა შენაკადის „ყორანა ღელის“ კალაპოტში ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს I უბანი.	ქვიშა-ხრეშის გამოვლინება	P_2	1 წელი	20 000 m^3	17 395	5 420

4	ხულოს მუნიციპალიტეტი, მთა ლოდისძირის მიმდებარე ტერიტორია, მდ. „ქვაბლიანი“-ს მარჯვენა შენაკადის „ყორანა ღელის“ კალაპოტში ქვიშა-ხრეშის გამოვლინები“-ს II უბანი.	ქვიშა-ხრეშის გამოვლინება	P_2	1 წელი	20 000 მ³	17 395	5 420
			ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით; ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით; გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე საშუალო წლიური მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 2,0 მ-ს; დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში; ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო				
სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის			დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, გზის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა (გზის საფუძვლისა და ასფალტობეტონის საფარის მოწყობა) ასევე წიაღისეულის ტრანსპორტირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალების ღერძზე დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ“ აჭარის ა.რ. კანონით გათვალისწინებულ ნორმას. ვ) ლიცენზიის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის კოორდინატების თვალსაჩინოდ მონიშვნა. ზ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება; თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით; ი) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის; კ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა; ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები; მ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს; ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); ო) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, პ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის N100 ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების ტექნიკის წესები.				
5	ხულოს მუნიციპალიტეტი, სოფელ ტაბახმელას მიმდებარედ, მდ. „აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება“.	ქვიშა-ხრეშის გამოვლინება	P_2	1 წელი	24 255 მ³	21 095	6 530
სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის			ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით; ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით; გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე საშუალო წლიური მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 2,0 მ-ს; დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში; ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, გზის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა (გზის საფუძვლისა და ასფალტობეტონის საფარის მოწყობა) ასევე წიაღისეულის ტრანსპორტირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალების ღერძზე დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ" აჭარის ა.რ. კანონით გათვალისწინებულ ნორმას. ვ) ლიცენზიის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის კოორდინატების თვალსაჩინოდ მონიშვნა. ზ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება; თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით;				
			ი) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის;				

იხ. 12 გვ.



უძველეს დედაქალაქს გენერალური გეგმა უნდა ჰქონდეს

მცხეთის კულტურის ცენტრში ქალაქის განვითარების გენერალური გეგმის კონცეფციის საჯარო განხილვა იწყება. პროექტი ამხანაგობა „აქოლისმა“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდის დაკვეთით მოამზადა.

გენერალური გეგმის კონცეფცია მცხეთის, როგორც ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის შედგენას, ასევე ტურისტული პოტენციალის განვითარებას მოიცავს. ქალაქის სივრცითი განვითარების გარდა გენერალური გეგმის დამტკიცება არის ერთ-ერთი მოთხოვნა, რომელზეც „იუნესკოსთან“ თანამშრომლობის გაგრძელებაა დამოკიდებული.

„იუნესკოს“ მოთხოვნით, ამ დრომდე, მცხეთაში მშენებლობებზე მორატორიუმია გამოცხადებული. ეს კონცეფცია აუცილებელი ნაბიჯია მორატორიუმის მოხსნის გზაზე.

ქართული სპორტის ვარსკვლავები ატოცში

ძარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ატოცში სპორტის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. მასში საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფლის სკოლის მოსწავლეებთან ერთად, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე სოსო გიორგაძემ და წარმატებულმა ქართველმა სპორტსმენებმა მიიღეს მონაწილეობა.

სპორტის მნიშვნელობასა და როლზე, მოსწავლეებთან საქართველოს მორაგბეთა ნაკრების კაპიტანმა მერაბ შარიქაძემ, საკალათბურთო ნაკრების წევრმა ბექა ბურჯანაძემ და თბილისის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელმა დავით უბილავამ ისაუბრეს. მათ სკოლის მოსწავლეებს საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს და სპორტში ჩართულობისკენ მოუწოდეს.

დისკუსიის შემდეგ, სპორტსმენები და მოსწავლეები ფიზიკურ აქტივობაში ჩაერთნენ. ღონისძიების ბოლოს კი „თეთრ ბარათებთან“ ერთად ერთობლივი ფოტო გადაიღეს. ღონისძიება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და სპორტის მენეჯმენტის ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა. სპორტის საერთაშორისო დღე საქართველოსა და მსოფლიოში 2014 წლიდან აღინიშნება. სპორტის დღის სიმბოლო — „თეთრი ბარათი“ ჩართულობას, ტოლერანტობასა და მშვიდობას გამოხატავს.

მექვევრეობა ისევე უძველესია, როგორც ქართული ღვინო

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ „მექვევრეობის ტრადიციას საქართველოში“ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა.

სააგენტოს გენერალური დირექტორის შესაბამისი ბრძანება 2021 წლის 12 აპრილს ამოქმედდა. 2011 წელს ქვევრს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მანამდე მიენიჭა, ასევე ქვევრის ღვინის დაყენების ტრადიციას. 2013 წელს ქვევრის ღვინის დაყენების უძველეს ქართულ ტრადიციულ მეთოდს მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიანიჭა იუნესკომ.

რიონის ხეობაში ურანის საბადოები არ არის!

წიაღის ეროვნული სააგენტო ეხმაურება გავრცელებულ ინფორმაციას, თითქოს რიონის ხეობაში, სადაც „ნამახვანჰესის“ პროექტის განხორციელებაა დაგეგმილი, ურანის საბადოები არსებობს.

როგორც სააგენტოში აცხადებენ, აღნიშნული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. წიაღის ეროვნული სააგენტო მოუწოდებს ადამიანებს, თავი შეიკავონ გადაუმოწმებელი და უსაფუძვლო ცნობების ტირაჟირებისგან.

„გვინდა, გამოვეხმაუროთ სოციალურ ქსელებში გავრცელებულ დეზინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს რიონის ხეობაში, სადაც „ნამახვანჰესის“ პროექტის განხორციელებაა დაგეგმილი, ურანის საბადოები არსებობს. ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებთ, რომ სახელმწიფო გეოლოგიური ფონდებით, რომელიც მოიცავს თითქმის ორი საუკუნის მანძილზე შეგროვილ გეოლოგიურ ინფორმაციას, რიონის აუზში ურანის საბადოების არსებობა არ ფიქსირდება. მიგვაჩნია, რომ მსგავსი დეზინფორმაციის გავრცელება მიზნად ისახავს საქართველოს ენერგეტიკისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტის, როგორიცაა „ნამახვანჰესი“, განხორციელების ხელშეშლას. წიაღის ეროვნული სააგენტო მოუწოდებს იმ ადამიანებს, რომლებიც ნებსით თუ უნებლიეთ, ავრცელებენ აღნიშნულ დეზინფორმაციას, თავი შეიკავონ გადაუმოუწმებელი და უსაფუძვლო ცნობების ტირაჟირებისგან“, — ნათქვამია განცხადებაში.

„თელასი“ — მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად და „კოვიდ-19“-ის გავრცელების პრევენციის მიზნით, „თელასი“ მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადადის.

კომპანიის ინფორმაციით, დღეიდან „თელასის“ მომსახურების ცენტრებში მომხმარებელთა მიღება დროებით შეჩერდება და კომპანიის მომხმარებლები სრულყოფილი დისტანციური მომსახურებით ისარგებლებენ.

„კომპანიის მომსახურების მიღება შესაძლებელია call-ცენტრის (2 77-99-99), კომპანიის ოფიციალური ფეისბუქგვერდისა და ვებგვერდის მეშვეობით. ნებისმიერი განცხადების გაგზავნა კომპანიაში შესაძლებელია ელექტრონულ მისამართზე telasi@telasi.ge

			კ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა; ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები; მ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს; ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); ო) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, პ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის N100 ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების ტექნიკის წესები.				
6	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჯალაბაშვილები, მდ. „აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება"	ქვიშა-ხრეშის გამოვლინება	P_2	1 წელი	28 754მ³	25 005	7 705
7	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჯალაბაშვილები, მდ. „აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინებაის" I უბანი	ქვიშა-ხრეშის გამოვლინება	P_2	1 წელი	28 254 მ³	24 570	7 600
			სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით; ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით; გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე საშუალო წლიური მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 2,5 მ-ს; დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში; ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, გზის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა (გზის საფუძვლისა და ასფალტობეტონის საფარის მოწყობა) ასევე წიაღისეულის ტრანსპორტირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალების ღერძზე დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ" აჭარის ა.რ. კანონით გათვალისწინებულ ნორმას. ვ) ლიცენზიის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის კოორდინატების თვალსაჩინოდ მონიშვნა. ზ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება; თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით; ი) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი გამოყენებისათვის; კ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა; ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას				
				გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები; მ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს; ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); ო) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, პ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შპს „სილქნეტი"-ს საკუთრებაში არსებულ კომუნიკაციის ახლოს სამუშაოების წარმოების დროს დაიცვას შემდეგი პირობები: 1) მკაცრად იქნას დაცული ხაზობრივი ნაგებობის ხელშეუხებლობა; 2) არ შეუქმნას სფრთხე არსებულ კომუნიკაციას და უზრუნველყოს კომუნიკაციის უსაფრთხოება: 3) შეუფერხებლად და შეზღუდვის გარეშე უზრუნველყოს შპს „სილქნეტი"-ს თანამშრომლის კომუნიკაციასთან მისვლა და სხვადასხვა სამუშაოების ჩატარება: 4) კომუნიკაციის დაცვის ზონაში სამუშაოების დაწყებამდე ლიცენზიის მფლობელმა აცნობოს შპს „სილქნეტს" და სამუშაოები აწარმოოს თანხმობით. 5) ლიცენზიანტი ვალდებულია აცნობოს კომპანიას ყოველგვარი საფრთხის შესახებ რომელმაც შეიძლება შეუძლებლი გახადოს კაბელით სარგებლობა, მათ შორის სტიქიური უბედურების დროს 3 (სამი) დღს ვადაში; 6) ლიცენზიის მფლობელის საქმიანობიდან გამომდინარე კომუნიკაციის გადატანის საჭიროების შემთხვევაში აღნისნული სამუშაოები განხორცელდეს ლიცენზიანტის ხარჯებით. ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის N100 ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების ტექნიკის				

			წესები.				
8	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჯალაბაშვილები, მდ. „აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინებაის“ II უბანი	ქვიშა-ხრეშის გამოვლინება	P_2	1 წელი	28 434 მ³	24 730	7 650
9	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჯალაბაშვილები, მდ. „აჭარისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინებაის“ III უბანი	ქვიშა-ხრეშის გამოვლინება	P_2	1 წელი	28 702 მ³	24 960	7 700

სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით; ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით; გ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით, ობიექტის მთელ ფართობზე საშუალო წლიური მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 2,0 მ-ს; დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირება განახორციელოს ძარაგადახურული ავტომობილებით, ასევე დასახლებულ პუნქტებში სასარგებლო წიაღისეულის ტრანსპორტირებისას უზრუნველყოს საავტომობილო გზის პერიოდული მორწყვა, რათა თავიდან იქნეს აცილებული მტვრის გაფრქვევა დასახლებულ პუნქტებში; ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია არ დააზიანოს შიდა სასოფლო გზები, ხოლო დაზიანების შემთხვევაში მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია, გზის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა (გზის საფუძვლისა და ასფალტობეტონის საფარის მოწყობა) ასევე წიაღისეულის ტრანსპორტირებისას ავტოსატრანსპორტო საშუალების ღერძზე დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს „ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შესახებ“ აჭარის ა.რ. კანონით გათვალისწინებულ ნორმას. ვ) ლიცენზიის მფლობელმა უნდა უზრუნველყოს სალიცენზიო ობიექტის კოორდინატების თვალსაჩინოდ მონიშვნა. ზ) ექსპლუატაციის დროს მეწყრული პროცესების გააქტიურების დროს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა მოხდეს სამუშაოების შეჩერება, სათანადო ღონისძიებების დასახვა და განხორციელება; თ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისთვის მიღებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით; ი) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით მისი შემდგომი
	გამოყენებისათვის; კ) ლიცენზიის მფლობელს წიაღისეულის მოპოვების პერიოდში ეკრძალება გზის გვერდულებზე მასალის დასაწყობება, სამშენებლო ნარჩენების დაყრა, მანქანა-მექანიზმების გაჩერება და დგომა; ლ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია წიაღითსარგებლობის განხორციელებისას გეოდინამიკური სიტუაციის გართულების (ასეთის არსებობის) შემთხვევაში შეასრულოს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების შესაბამისი მითითებები; მ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ“, ,,ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, ,,წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს; ნ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით); ო) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, პ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შპს „დელტა კომმი“-ს საკუთრებაში არსებულ კომუნიკაციის ახლოს სამუშაოების წარმოების დროს დაიცვას შემდეგი პირობები: 1) მკაცრად იქნას დაცული ხაზობრივი ნაგებობის ხელშეუხებლობა; 2) არ შეუქმნას სფრთხე არსებულ კომუნიკაციას და უზრუნველყოს კომუნიკაციის უსაფრთხოება: 3) შეუფერხებლად და შეზღუდვის გარეშე უზრუნველყოს შპს „დელტა კომმი“-ს თანამშრომლის კომუნიკაციასთან მისვლა და სხვადასხვა სამუშაოების ჩატარება: 4) კომუნიკაციის დაცვის ზონაში სამუშაოების დაწყებამდე ლიცენზიის მფლობელმა აცნობოს შპს „დელტა კომმს“ და დამუშაოები აწარმოოს წერილობითი თანხმობის შემდგომ. 5) ლიცენზიანტი ვალდებულია აცნობოს კომპანიას ყოველგვარი საფრთხის შესახებ რომელმაც შეიძლება შეუძლებელი გახადოს კაბელით სარგებლობა, მათ შორის სტიქიური უბედურების დროს 3 (სამი) დღს ვადაში; 6) ლიცენზიის მფლობელის საქმიანობიდან გამომდინარე კომუნიკაციის გადატანის საჭიროების შემთხვევაში აღნისნული სამუშაოები განხორცელდეს ლიცენზიანტის ხარჯებით.
	პ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთვრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია გაითვალისწინოს საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2008 წლის 18 ნოემბრის N100 ბრძანებით დამტკიცებული უსაფრთხოების ტექნიკის წესები.
დამატებითი სალიცენზიო პირობები 9 ლოტზე	საქართველოს მთავრობის 2021 წლის 19 მარტის N399 განკარგულებით განისაზღვრა დამატებითი სალიცენზიო პირობები, რომლის თანახმად ლიცენზიის მფლობელი ვალდებული იქნება, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემიდან 6 (ექვსი) თვის ვადაში არ გაასხვისოს მოსაპოვებელი სასარგებლო წიაღისეულის 50% და აღნიშნული 6 (ექვსი) თვის ვადაში საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საავტომობილო გზების დეპარატემენტის მიმართვის საფუძველზე ამავე ლიცენზიის მოქმედების ვადაში უზრუნველყოს მისი გადაცემა განსაზღვრული ფასის (ლიცენზიის მფლობელის მიერ გადახდილი საუქციონო ფასის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის განსაზღვრული მოსაკრებლისა და რესურსის მოპოვებისათვის სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნით დადასტურებული საჭირო თანხის ჯამი) შესაბამისად, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის კონტრაქტორი ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ახორციელებენ განსაკუთრებული მნიშვნელობის საგზაო და ნაპირდაცვის ინფრასტრუქტურულ პროექტებს, მათ შორის ბათუმის შემოვლითი გზის მიმდინარე პროექტს.
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
ბიჯის სიდიდე	საწყისი ფასის 10%
საიდენტიფიკაციო ნომერი	245429200
მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2021 წლის 19 აპრილს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2021 წლის 19 მაისს დღის 18.00 საათზე
აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2021 წლის 19 მაისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2021 წლის 19 მაისს დღის 18.00 საათზე.
სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

გერმანიაში ოცკაციანი პირველი ნაკადი დღეს გაემგზავრება

გერმანიაში **დასაქმების მიზნით პირველი ნაკადი — 20 ადამიანი საქართველოდან დღეს გაემგზავრება,** — ამის შესახებ ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომითი მიგრაციის საკითხთა სამმართველოს უფროსმა გიორგი ბუნტურმა საქართველოს პირველ არხს განუცხადა.

„საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს შერჩევისა და გასაუბრების პროცესი და უკვე გერმანიაში გარკვეული რაოდენობის ადამიანების სიაც გაგზავნილია; ნაწილზე შესაბამისი სამუშაო ნებართვებიც მიღებულია და პირველი ნაკადი გერმანიაში დღეს გაემგზავრება სამუშაოდ. საუბარია 20 ადამიანზე, რომელიც კონკრეტულ ვაკანსიაზე დასაქმდება. ყველა მათგანი ერთ დამსაქმებელთან მოთხოვნილ ვაკანსიაზე იმუშავებს. ბუნებრივია, ეს იქნება სოფლის მეურნეობის მიმართულებით სამუშაო. პარალელურად, სხვა ვაკანსიებთან მიმართებით, ეს პროცესი გაგრძელდება და უწყვეტ რეჟიმში წავლენ ჩვენი მოქალაქეები. კი ჟღერს ეს რიცხვი — 98 000 საკმაოდ ხმამაღლა, მაგრამ რეალურად, დასაქმების მსურველი ბევრად ნაკლებია. ეს გვაჩვენა პრაქტიკამ გასაუბრებების ეტაპზე“, — განაცხადა გიორგი ბუნტურმა.

ბუნტურის თქმით, რაც შეეხება საფრანგეთს, ხელშეკრულება გაფორმებულია, რომელიც უკვე ძალაშია შესული.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 102 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

◎ ჩოგბურთი

გორგოძის აპრილი

შვეიცარიაში გამართულ ჩოგბურთელ ქალთა 60.000-იან საერთაშორისო ტურნირში წარმატებით იასპარეზა თბილისელმა ეკატერინე გორგოძემ. ერთეულებში მან ოთხი წრე უპრობლემოდ განვლო: სტარტზე კატინკა ფონ დეიჩმანი (ლიხტენშტეინი) ორ სეტში დაამარცხა – 7:6, 6:4; მერე მე-11 ნომრად განთესილ მარტინა დი ჯუზეპეს (იტალია) სძლია – 6:1, 6:4. მესამე პაექრობა კვიპროსელ რალუკა სერბანთან 2 საათსა და 40 წუთს გაგრძელდა. ქართველმა ჩოგბურთელმა ეს ორთაბრძოლა სამ სეტში მოიგო – 6:2, 6:7, 6:1. მან მეოთხედფინალში იტალიელ ბიანკა ტურატის აჯობა – 6:2, 6:0. ფინალის გზა ჩვენებურს ავსტრიელმა ჯულია გრაბერმა გადაუღობა – 2:6, 2:6. სამაგიეროდ, გორგოძემ მთავარი პრიზი მოიპოვა წყვილებში, სადაც ანა დანილინასთან (ყაზახეთი) ერთად მესამე ნომრად იყო განთესილი. ქართულ-ყაზახურმა დუეტმა პირველ წრეში მასპინძლებს – ჯენი დუერტსა და სებასტიანა სლიფოტს მოუგო – 6:2, 6:2, შემდეგ მათს გზას გაუყენა ანჰელინა კალინინა (უკრაინა) და ვალერია სავინიხი (რუსეთი) – 7:6, 6:4; ჩეხები – ანასტასია დეტლუჩი და იოანა მარკოვა – 6:2, 6:2. ფინალში გორგოძემ და დანილინამ რებეკა მარინო (კანადა) და იუკი ნაიტო (იაპონია) დაამარცხეს – 7:5, 6:3 და პირველი ადგილი დაიკავეს.

◎ ძიუდო

ლისაბონში – 14 სპორტსმენით

პორტუგალიის დედაქალაქი 16-18 აპრილს ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. შეჯიბრებაში საქართველოს 14 წარმომადგენელი იჭიდავებს – 9 ვაჟი და 5 ქალი. ვაჟთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ ლაშა გუჯეჯიანისა და ქალთა დამრიგებელ გია თენაძის ხელმძღვანელობით გუშინ ლისაბონს ჩვენი ის ექვსი სპორტსმენი გაემგზავრა, რომლებიც პირველები გავლენ ტატამზე. ესენი არიან თემურ ნოზაძე (60), ვაჟა მარგველაშვილი (66), ლაშა შავდათუაშვილი (73), ტატიანა ლევიცკა-შუკვანი, მარიამ ჯანაშვილი (ორივე – 52) და ეთერ ლიპარტელიანი (57). გუნდის დანარჩენი წევრები – ბექა ღვინიაშვილი, ლაშა ბექაური (90 კგ), ვალერი ლიპარტელიანი, ილია სულამანიძე (ორივე – 100 კგ), გურამ თუშიშვილი, ლევან მატიაშვილი (ორივე +100 კგ); მარიამ ჭანტურია (70 კგ) და სოფიო სომხიშვილი (+78 კგ) ლისაბონში 16 აპრილს ჩავლენ.

ქალთა ნაკრები, როგორც ვხედავთ, არასრული შემადგენლობით იასპარეზებს, ხოლო ავადმყოფობის გამო ვაჟებში წარმომადგენელი არ გვეყოლება 81 კილოში, ამიტომაც გუჯეჯიანი ერთბაშად სამ წონაში ორ-ორ მონაწილეს გამოიყვანს. ჯანმრთელობის პრობლემების გამო შეჯიბრებაზე ვერ გაემგზავრება გელა ზაალიშვილი (მძიმე წონა) – მას ლევან მატიაშვილი ჩაენაცვლება.

◎ ლეგიონერი

წარმოდგენა გრძელდება

ესპანეთის საკალათბურთო ჩემპიონატის ფინიშამდე რამდენიმე ტურით ადრე გიორგი შერმადინმა მორიგი შთამბეჭდავი მატჩით კიდევ უფრო გაიმყარა პოზიციები ლიგა ენდესას რეგულარული სეზონის ყველაზე სასარგებლო მოთამაშის ტიტულისთვის ბრძოლაში.

ამჯერად „ტენერიფეს“ ქართველმა ლიდერმა „ესტუდიანტესთან“ 107:77 მოგებულ შეხვედრაში გაიბრწყინა – 17 წუთში 25 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა მოაგროვა და მატჩის უძვირფასესი მოთამაშე გახდა სარგებლიანობის კოეფიციენტით 32)!

◎ დანავსული!..

კვლავაც – ლაზარეთში

ტყუილად როდი ამბობენ – გიორგი ჩაკვეტაძემ ცხვარი უნდა დაკლასო.

საუბარია უნიჭიერესი ქართველი ფეხბურთელის ზღვარგადასულ უიღბლობაზე, რაც უკვე ორი სეზონია მძიმე ტრავმებში გამოიხატება და „გენტის“ შემტევს ეროვნულ ნაკრებში დაბრუნების საშუალებას არ აძლევს.

სამწუხაროდ, ასე მოხდა ამჯერადაც – რომ გვეგონა, „ჯვაროსანთა“ ერთ-ერთი ლიდერი ბარძაყის უკანა კუნთის გაწყვეტით გამოწვეული ტრავმისგან განიკურნა, უკვე ბარძაყის წინა კუნთი გაიწყვიტა და, სავარაუდოდ, თვენახევარი გაუცდება...

◎ ჭიდაობა

უხვი ნაღავლით

პლოვდივში (ბულგარეთი) „დან კოლოვი-ნიკოლა პეტროვის“ სახელობის მოჭიდავეთა საერთაშორისო ტურნირზე ქართველმა ფალავნებმა 11 მედალი მოიპოვეს – 3-3 ოქრო-ვერცხლისა და 5 ბრინჯაოსი. თავისუფალ ჭიდაობაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ გიორგი ელბაქიძე (70) და მირიან მაისურაძე (92). მხოლოდ ფინალი წააგო თეიმურაზ ვანიშვილმა (61) და ვერცხლის ჯილდო ერგო, ვლადიმერ გამყრელიძემ (74) და ლუკა ხუჭუამ (97) კი მესამე ადგილები დაიკავეს. „კლასიკოსებში“ ტურნირის ჩემპიონი გახდა გიორგი ქაცანაშვილი (97 კგ), მეორე ადგილებზე ნიკოლოზ ჭიკაიძე (77) და ბაკურ გოგოლი (82) გავიდნენ, ხოლო ქერიმ მაჩალიკაშვილი (63), ოთარ აბულაძე (82) და თემურ ჭკუასელიძე (87) ბრინჯაოს მედლებს დასჯერდნენ.

◎ ჭადრაკი

სამნი – უმაღლეს ლიგაში

თბილისის ჭადრაკის სასახლეში 19 აპრილს (პანდემიის გამო თუ არაფერი შეიცვალა) სტარტს აიღებს საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა მე-80 საიუბილეო ჩემპიონატი. მედლებისთვის წრიული სისტემით 10 მამაკაცი იბრძოლებს. ამ შეჯიბრების სამი მონაწილე პირველი ლიგის ასპარეზობამ (ტურნირის დირექტორი - საერთაშორისო ორგანიზატორი დათო კოდუა, მთავარი მსაჯი - საერთაშორისო არბიტრი მარგალიტა თანდაშვილი) გამოავლინა. უმაღლესში გადასასვლელად სხვადასხვა კუთხის 48 წარმომადგენელი ეცილებოდა ერთმანეთს. შვეიცარიული სისტემით გათამაშდა ცხრა ტური. ბათუმელი საერთაშორისო ოსტატი ნოდარ ლორთქიფანიძე ცხრა შეხვედრიდან მხოლოდ საერთაშორისო ოსტატ შოთა აზალაძეს დაუზავდა მე-3 ტურში, დანარჩენი რვა ორთაბრძოლა მოიგო და 8.5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. გამარჯვებულს 1.5-1.5 ქულით ჩამორჩნენ საერთაშორისო ოსტატები - ნიკოლოზ პეტრიაშვილი, შოთა აზალაძე, მერი არაბიძე და 1877-რეიტინგიანი აკაკი ყალიჩავა. დებულების თანახმად, ლორთქიფანიძემ, პეტრიაშვილმა და აზალაძემ უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვეს. მათთან ერთად იასპარეზებენ ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი ლუკა პაიჭაძე, მეორე-მესამე პრიზიორები – თორნიკე სანიკიძე და კონსტანტინე შანავა, 20-წლამდელებში ჩემპიონი ნიკოლოზ კაჭარავა, მერაბ გაგუნაშვილი (ის ბაადურ ჯობავას ჩაენაცვლა), ლევან ფანცულაია და გიგა ყუფარაძე.

◎ როლან გაროსი

წლეულს – 1 კვირით



როგორც გახსოვთ, შარშან ჩოგბურთელთა მთავარი საგრუნტო ტურნირი – როლან გაროსი კორონავირუსის პანდემიის გამო ზაფხულის ნაცვლად შემოდგომაზე გაიმართა.

ისტორია მეორდება – პარიზის კორტები შეხვედრებს წლეულს 23 მაისის ნაცვლად 30 მაისიდან უმასპინძლებენ.

„ვიმედოვნებთ, საფრანგეთში გაზაფხულის მიწურულს სარეგულაციო შეზღუდვები შესუსტდება და ქომაგებს ტრიბუნებზე დაუშვებენ“ – ფრთხილი ოპტიმიზმით აცხადებენ ამ „დიდი სლემის“ ორგანიზატორები.

◎ ამჩატეგულა...

იჩქარე ნელა!

სპორტული სამყარო შეძრა გოლფის მეფის ტაიგერ ვუდსის მიერ ლოს-ანჯელესთან 23 თებერვალს მომხდარმა ავტოსაგზაო შემთხვევამ, როცა კონტროლდაკარგული მანქანა გზიდან გადავარდა და ხესთან შეჯახების შემდეგ ამოტრიალდა, რის შედეგადაც 25 წლის ლეგენდა მრავალრიცხოვანი ტრავმებითა და ფეხის მოტეხილობით საოპერაციო მაგიდაზე აღმოჩნდა.

როგორც ამ დღეებში კალიფორნიის პოლიციის შერიფმა ალექს ვილანუევამ განაცხადა, ავარიის მიზეზი გადაჭარბებული სიჩქარე გახდა – 72-ის ნაცვლად 135 კმ/საათში.

„უკუღმართი“, „დამღუპველი“ აზრები დედაენის გადასარჩენად!

(მეხუთე გვერდიდან)

აპაკი გაძრაძის მიერ აგორებული პროტესტის გუნდა ზვავის სახეს იღებდა...

და ისევ მწერალთა კავშირი. 12 აპრილს მწერალთა დიდი ნაწილის პრინციპული მოთხოვნით გაიმართა „მართალი“ კრება; პარტორგანიზაციის კრება დაარქვეს, ხალხი რომ ცოტა მისულიყო... არ უშველა ამ „ფანდმა“... მთავარი მომხსენებელი **ნოდარ წულეისკირი** იყო... ეს ის სიტყვაა მწერლისა, ხელნაწერის სახით რომ გავრცელდა საქართველოში... დიახ, საქართველოში... ეს კრება იყო ყველაზე მძაფრი და მკვეთრი გამოხატულება საპროტესტო აზრისა... ზოგმა მწერალმა კავშირის წევრობის წიგნაკიც კი დათმო... მომხსენებლის ძირითადი დასკვნა ეს იყო: „ახალი კონსტიტუციის 75-ე მუხლი არ გამოხატავს ქართველი ხალხის ნებას, არ შეესაბამება ჩვენს კულტურას და ისტორიას, შეუფერებელია წესიერი საზოგადოებისთვის“. საოცრად ემოციური იყო ნოდარ წულეისკირის მოხსენების დასკვნითი ნაწილი; რამდენიმე ფრაგმენტი:

„დამთავრდა ჩემი შვიდწლიანი მძიმე ომი. დამთავრდა იმით, რითაც დავიწყე, ქართული ენის დასაცავად ავიღე ხელში ფარ-ხმალი და სწორედ ქართული ენა წამართვეს“... „ისღა დამრჩენია, წავიდე პარტიიდან, მონაწილეობა მაინც არ მივიღო იმ საქმეში, რაც არ მწამს და არ ვეთანხმები!“... „რას ვიზამთ, ასეთია ჩვენი ხვედრი, ასეთი უფლებანი და თავისუფლებანი მოგვეპოვება!.. მე არავის ვეჯიბრები სამშობლოს სიყვარულში, არც დაფნის გვირგვინს მიველტვი, არც ეკლისიას!..“

ეს იყო საპროტესტო ცეცხლზე ნავთის დასხმა... ამას წინათ ჩვენს გაზეთში ვისაუბრეთ მ. ჯავახიშვილისა და კ. გამსახურდიას შესახებ („საქართველოს რესპუბლიკა“ , 24-25 მარტი, 2021 წ.); მათი აზრი იყო: ქართული ენის გადასარჩენად ბრძოლას მწერლები უნდა ჩაუდგნენ სათავეშიო; ეს სულისკვეთება ტრიალებდა მწერალთა კავშირში 12 აპრილის შეკრებაზეც... „ქართველმა მწერალმა უნდა იბრძოლოს. ცალ ხელში ხმალი ეჭიროს, მეორეში ხელში – კალამი. თუ ქართველ მწერალს ბრძოლა არ შეუძლია, ტაში მაინც არ უნდა დაუკრას!“... – ესეც ნოდარ წულეისკირმა თქვა... „ოცზე მეტი კაცი გამოვიდა სიტყვით. მეც ვთქვი მწერალთა კავშირში სიტყვაო“, – მშვიდად დაამთავრებს მოგონებას აკაკი ბაქრაძე... არადა ამ კრებამ ფაქტობრივ დაასრულა ე. წ. „მოსამზადებელი პერიოდი“ 14 აპრილისა... ასე რომ, ცკ-ის კრებიდან მოყოლებული მწერალთა კრებამდე ქართულ საზოგადოებრივ აზრს აკაკი ბაქრაძემ უწინამძღვრა... საბედნიეროდ, მრავლად იყვნენ მისი თანამოაზრენიც... სპეცსამსახურებს მძიმე დღეები ედგათ...

დღეს 14 აპრილია!.. ამ დღის მნიშვნელობაზე ბევრი თქმულა... ეს დღე, როგორც იტყვიან, ოქროს ასოებით ჩაიწერა ჩვენს ისტორიაში...

* * *

ამ წერილის დაწერისას ორი აზრი მამოძრავებდა: გახსენება მსურდა იმდროინდელი ჭეშმარიტი ინტელიგენციის როლისა და დამსახურებისა... თუ საიდან აიღო სათავე საპროტესტო მოძრაობამ... როგორ ჩამოყალიბდა პატრიოტული აზრი აუდიტორიებსა და დარბაზებში; რამდენად სარისკო იყო უფროსი თაობის პოზიციების საჯარო გამჟღავნება („უკუღმართი“, „არასახელმწიფოებრივი“, „ქვეყნის დამღუპველი“ აზრებისა – როგორც ამბობდნენ პროექტის მხარდამჭერები...)... და, მეორე მხრივ, შემეხსენებინა დღევანდელი საზოგადოებისთვის იმდროინდელი ახალგაზრდობის შეუპოვრობა, პირდაპირობა, უკომპრომისობა და თავგანწირვა ქვეყნისა და დედაენისთვის!..

სწორედ ამ ორმა ძალამ შეკრა და გაამთლიანა ქართველი საზოგადოება და დაამარცხა „უძლეველი“ საბჭოთა იმპერია... ამ ერთობამ გაამარჯვებინა ქართულ ენას 1978 წელს!..

და გაგვამარჯვებინებს კვლავაც, თუკი ქართველი საზოგადოება ერთობის ძალას მიენდობა (და, რა თქმა უნდა, თუკი შედგება ეს ერთობა...)!..

გიორგი გოგოლაშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

◎ რას მოვესწარით!..

პუტინი საქართველოს გამთლიანებას გვთავაზობს...

ჩემმა მეგობარმა გერონტი შალამბერიძემ, როგორც სჩვევია, კარზე მორიდებით დააკაკუნა.

– შემოდი გერონტი, – შევიპატიჟე, – ეტყობა გზაში ირბინე, სახეზე ფერი არ გადევს, ახლავე ყავას მოგიდუღებ და გუნებას გამოგიკეთებს.

– თუ ძმა ხარ, რა მეყავება, ამ მთავრობის შემყურეს, გული გასკდომაზე მაქვს.

– კაი ახლა, კაი, დამშვიდდი, შენღა გაკლდა ამ მთავრობის გაკილვა და აწი ყველაფერს ეშველება.

– რომ არ ეშველება, სწორედ მაგიტომ ვარ გაცოფებული.

– მაინც რას უჩივი, არ იტყვი?

– აი, ეს გაზეთი წაიკითხე და ყველაფერს ეგ გეტყვის, – ჩაილაპარაკა მრავალმნიშვნელოვნად გერონტიმ და ხელში „საქართველოს რესპუბლიკა“ შემომაჩეჩა.

თვალში მეცა გაზეთის პირველსავე გვერდზე დასტამბული ვლადიმერ პუტინის წერილი, რომელსაც ის საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს უგზავნის.

ვკითხულობდი წერილს და თვალებს არ ვუჯერებდი. **„იქნებ ქართულ ფედერაციაზე გვეფიქრა, – გვთავაზობდა ვლადიმირ ვლადიმიროვიჩი, – რაც საქართველოს გამთლიანების საფუძველი გახდება. ვფიქრობ, არც აფხაზებსა და ოსებს ექნებათ ფედერაციის საწინააღმდეგო აზრი. მოდით, ნუღარ გადავდებთ ამ საქმეს. რაც შეიძლება მალე მოვახერხოთ შეკრება ჩვენი ქვეყნების, კერძოდ, რუსეთის, საქართველოს, აფხაზეთის და ოსეთის ხელმძღვანელების და სხვათა ჩაურევლად მოვილაპარაკოთ“.**

– აი, კაცი! – აღმომხდა აღტაცებულს, – შენ აგრესორი ეძახე და ხედავ, რა სამშვიდობო, საშვილიშვილოდ დასაფასებელ ინიციატივას გვთავაზობს? ვერ გავიგე, ჩემო გერონტი, შენ რაღა გაქვს აღსაშფოთებელი?

– არც არაფერი, მე პუტინის წინადადების კი არა, ჩვენი ხელისუფლების უსაქციელობის გამო ვარ აღშფოთებული.

– ხელისუფლებამ განა ამისთანა რა დააშავა?

– განა ეგ საკითხავია? ხომ ხედავ, აგრესორი პუტინიც კი მიხვდა თავის დანაშაულს და რუსეთის მიერ მიტაცებული ჩვენი ტერიტორიების უკან დაბრუნებას გვთავაზობს, ესენი კი იმის მაგივრად, რომ ხტუნვა-ცეკვით შეეგებონ მის წინადადებას, პირზე ბოქლომდადებული და დამუნჯებულნი არიან.

– რა იცი, იქნებ არც არიან ხმაჩაკმედილნი და პასუხისთვის ემზადებიან?

– მერედა, სად არის ეგ პასუხი? აბა გაზეთს დახედე, პუტინის წერილი 31 მარტს არის გამოგზავნილი, ჩვენს ხელისუფალთ კი დღემდე ხმა-კრინტი არ დაუძრავთ. ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა გვითხრან, უერთდებიან თუ არა პუტინის ამ მამულიშვილურ ინიციატივას?

– ვინ იცის, იქნებ აღფროთოვანებითაც იღებენ პუტინის წინადადებას, მაგრამ მისი მორიგი ხრიკისა ეშინიათ, ან სულაც უხამსი ხუმრობა ჰგონიათ?

– აბა რას ამბობ, ოკუპანტი პუტინი და ხუმრობა ერთად, სად გაგონილა?

– რატომ კაცო, ოკუპანტიც ხომ ადამიანია და თუ ომი შეუძლია, რატომ არ შეიძლება ხანდახან იხუმროს კიდეც?

– კარგი, პუტინს თავი გავანებოთ, შენ ეგ მითხარი, კორონავირუსზე უკვე აიცერი?

– არა, ველოდები ახალ ვაქცინას, რომელსაც ევროსაბჭოს დაკვეთით გერმანიაში ამზადებენ.

– მერედა, რა ერქმევა მაგ ვაქცინას?

– ნაცვირუსის სამკურნალო ვაქცინა, იმ ვირუსის, რომელიც კორონაზე გაცილებით საშიშია.

– გერონტი, გადამრევ შენ, ხალხს კორონავირუსის ვაქცინაციაზეც ელეთმელეთი მოსდის და ერთბაშად ორი ვაქცინის გაკეთებას ვინ დათანხმდება?

– სწორედ მაგაშია ამ ვაქცინის უპირატესობა, რომ ნაცვირუსზე თუ აიცრები, კორონა აღარ შეგეყრება.

– ესე იგი, ერთდროულად ორ ვირუსს აისხლეტ თავიდან?

– ჰო ასეა, ხომ ხედავ, კორონასთან ერთად ნაცვირუსიც როგორ არის მოდებული ქვეყანაში და ამის შესაჩერებლად ახალი ვაქცინა სწორედაც რომ შვებად მოგვევლინება.

– კეთილი, ვისაც ჯერ არ შეყრია ნაცვირუსი, ის დიდი სიამოვნებით აიცრება, მაგრამ ვინც კაიხნის დაავადებულია, ვითომ ისიც დათანხმდება?

– მაგის დიდი ალბათობა არსებობს, უამრავ ნაცს კარგა ხანია გაქცევა უნდა ამ სისხლნაჭყეპი პარტიიდან, მაგრამ სააკაშვილის ტყვეობას ვერ დასხლტომია. ასეთები იპოვიან თუ არა მომენტს, მაშინვე აიცრებიან.

ამ საკითხში გერონტის დავეთანხმე და გავჩუმდი, მაგრამ კარს გასცდა თუ არა, ფიქრმა მაშინვე პუტინის წერილთან დამაბრუნა. ღმერთო ნუ მიწყენ და ისიც კი ვიფიქრე, ის ამბავი, რაც იმ წერილში ამოვიკითხე, თავად პუტინსაც საპირველაპრილო ხუმრობა ხომ არ ჰგონია?!



ოთარ ხუციშვილი

სანთელი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მრავალი სამეცნიერო ნაშრომისა და მონოგრაფიის ავტორი, ღირსების ორდენის კავალერი, ცნობილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე

შოთა ხეცურიანი

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სანთელი

ნოდარ ხარატიშვილი

სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს მრავალი არასასიამოვნო, დიდი ტკივილის მომტანი ამბის შემტყობები ვხდებით. განსაკუთრებით ძნელი აღსაქმელია დიდი ხნის ჩვენი მეგობრის, კოლეგის, ძვირფასი ადამიანის ამ ქვეყნიდან გასვლა, როგორიც ჩვენთვის ბატონი ნოდარ ხარატიშვილი იყო.

საქებარ სიტყვებს ქართველი ადამიანი არ იშურებს, განსაკუთრებით ასეთ დროს, მაგრამ ნოდარ ხარატიშვილი მისი პიროვნული ღირსებიდან გამომდინარე იმდენ გულთბილ გრძნობებს იმსახურებს, რომ გადამეტებული იმაში არაფერი იქნება.

ბ-ნი ნოდარი ნამდვილად დიდად გამორჩეული მასშტაბური პიროვნება იყო. ადამიანი, რომელთანაც არა თუ საქმიანი ურთიერთობა, არამედ უბრალო შეხვედრაც კი მეტად შთამბეჭდავი იყო.

მეცნიერი, პედაგოგი, ერუდიტი, ორგანიზატორი, პრინციპული, კეთილშობილი, წარმოსადეგი, სპორტით გატაცებული და იუმორით აღსავსე.

ყველგან, სადაც კი მოღვაწეობდა ბ-ნი ნოდარი — საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ, მისი როლი ყოველთვის ფრიად გამორჩეული იყო, დაწყებული თავისი მშობლიური საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან, სადაც მან ციფრული ტელევიზიის და ციფრული კავშირგაბმულობის განვითარებისთვის დიდად მაშტაბური, საერთაშორისო დონეზე აღიარებული კვლევები აწარმოა, ასევე მას მნიშვნელოვანი კვალი აქვს დატოვებული საქართველოს კავშირგაბმულობაში თანამედროვე ტელეკომუნიკაციური ტექნოლოგიების დანერგვაში, როდესაც წლების განმავლობაში საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრის პირველი მოადგილის თანამდებობას იკავებდა.

ასევე, აღსანიშნავია მისი როლი მობილური კავშირგაბმულობის დანერგვა-განვითარების საქმეში არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, ბოლო დროს განსაკუთრებით უკრაინაში.

უამრავი სამეცნიერო ნაშრომი, სამედიცინო ღონისძიებები, სიმპოზიუმები, სემინარები, დიდი პედაგოგიური მოღვაწეობა... შორს წაგვიყვანს ყველაფრის აღნიშვნა.

ნოდარ ხარატიშვილის პიროვნების სრული დახასიათებისთვის აუცილებელია ერთი მეტად საინტერესო ფაქტის აღნიშვნაც — 70 წელს გადაცილებულმა, მუდამ ახალგაზრდა რაინდმა აისრულა დიდი ხნის ოცნება — ყოფილიყო მფრინავი და ასეთ ასაკში პილოტის როლში ატლანტიკის ოკეანესაც კი გადაუფრინა პატარა თვითმფრინავით.

ასეთი ადამიანი აღარაა ჩვენთან.

უდიდესი წუხილი და ტკივილია.

მშვიდობით, ჩვენო საყვარელო ბატონო ნოდარ!

ვ. თოდუა, ფრ. ინჯია, თ. ბერიშვილი, ა. იაშვილი, თ. ღოღობერიძე, დ. ინჯია, კ. სამუშია, რ. რეხვიაშვილი.

მადლიერების ტაში – გურამ დოჩანაშვილს

უმრავლესობის დეპუტატის, მიხეილ სარჯველაძის თხოვნით, პარლამენტში გურამ დოჩანაშვილს ღვაწლისთვის მადლობა ტაშით გადაუხადეს.

„ვფიქრობდი, რამდენად პოლიტიკური განცხადების ფორმატში შეიძლება ეტეოდეს ის, რაც ახლა მინდა ვთქვა, მაგრამ მეორე მხრივ ვფიქრობ, რომ აბსოლუტურად ეტევა. ყველანაირი პოლიტიკა სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია ეფუძნებოდეს ღირებულებების სისტემას, სწორ ღირებულებებს, რაც, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი შეიძლება იყოს საზოგადოების გამაერთიანებელი ფაქტორის თვალსაზრისით.

ამ კონტექსტში მინდა გამოხმაურების გარეშე არ ჩაიაროს იმ ფაქტმა, რაც წინა კვირაში მოხდა და ყველაზე მეტად რთულია. ეს გახლავთ ის ფაქტორი, რომ საქართველომ მიწას მიაბარა ჩვენი დროის ძალიან დიდი ჰუმანისტი გურამ დოჩანაშვილი და მინდა ამ ამბავმა ისევ უკვალოდ არ ჩაიაროს, თუნდაც დღევანდელი პლენარული სხდომა გამოვიყენოთ და დავაფასოთ ამ კაცის ძალიან დიდი ღვაწლი საქართველოსა და ქართველი საზოგადოების განვითარებაში. ეს იყო ძალიან დიდი ჰუმანისტი. ყველას მინდა გთხოვოთ ამ ადამიანის დიდი ღვაწლი ტაშით დავაფასოთ“, – განაცხადა მიხეილ სარჯველაძემ.

ფერადი სიცოცხლე

უშანგი ქუმელაშვილის კიდევ ერთი ვამოფენა

ამა წლის 2 აპრილს მწერალთა სახლი ერთწლიანი პაუზის შემდეგ გაიხსნა და მასპინძლობა გაუწია მსოფლიოში სახელგანთქმულ ქართველ მოქანდაკეს, ფერმწერსა და მხატვარ-გრაფიკოსს, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, კერძოდ, ჰოლივუდიდან 32 წლის შემდეგ დაბრუნებულ უშანგი ქუმელაშვილს, რომელმაც ამ მოკლე ხანში უკვე მოასწრო რამდენიმე სამხატვრო გამოფენაში მონაწილეობა. ასევე „ფაზისის“ საერო აკადემიის და სამხატვრო აკადემიის წევრობა. პრესა და ტელევიზია სისტემატურად აშუქებს შემოქმედის მოღვაწეობას. პატრიარქთან უწმინდეს და უნეტარეს ილია მეორესთან შეხვედრის შემდეგ მან საბოლოო გადაწყვიტა საქართველოში დარჩენა. მოგეხსენებათ, ამ ძნელბედობის ჟამს, პლიუს პანდემიამ ხელოვანს განწყობა-გუნება შეუცვალა და ერთი ხანს ამერიკაში დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ მისმა აქაურმა კოლეგებმა და უკვე მეგობრებმა გიგა ბათიაშვილმა, ვახტან დავითაიამ, რევაზ ადამიამ, გივი თოიძემ, გოგი გეგეჭკორმა და გურამ ცერცვაძემ და ასევე ენრიკო ჯანელიძემ, რომელიც 2 აპრილის გამოფენის წამყვანი და ორგანიზატორი იყო, ურჩიეს სამშობლოში დარჩენა და იგი დარჩა...

რაც შეეხება გამოფენას, რომელმაც უდიდესი წარმატებით ჩაიარა, ვის არ ნახავდით აქ — ქალბატონებს მაყვალა გონაშვილს, მანანა გოგიშვილს, ციცო ერისთავს, ბატონებს ერეკლე საღლიანს, ბუბა ხოტივარს, ბაღათერ არაბულს, მურმან გელენიძეს, გუბაზ მეგრელიძეს, თენგიზ უთმელიძეს, გორის საზოგადოების ერთ ნაწილს და მრავალ სხვას, რომლებიც არ იშურებდნენ აღტაცებას და გულთბილ სიტყვებს შემოქმედისადმი.

გამოფენაზე რას არ ნახავდით — ფერწერულ ტილოებს, გრაფიკულ ნამუშევრებს და გემოვნებით შესრულებულ ნახატებს. სულ 70 ნამუშევარს. არ შეიძლება არ ითქვას ქალბატონი მაყვალა გონაშვილის თანადგომის შესახებ. მან აქვე გადასცა ბატონ უშანგის ქართული კულტურის დესპანის საპატიო სიგელი, დიდი მადლობა უნდა გადავუხადო მწერალთა სახლის დირექტორს ქალბატონ ნატა ლომოურს. უნდა აღვნიშნო, რომ ტაოკლარჯეთის საერო აკადემიამ ოქროს მედალი გადასცა შემოქმედს. ბატონი თამაზ შილაკაძე ქართული კულტურის ფონდის თავმჯდომარე სულ ახლო მომავალში შეჰპირდა ბატონ უშანგის მერაბ ბერძენიშვილის კულტურის ცენტრ „მუზაში“ საღამოს გამართვას. დაგეგმილია გორის სახელმწიფო თეატრში კიდევ ერთი საღამო. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია უშანგი ქუმელაშვილის უანგარობა, მან ამ ექვსი თვის განმავლობაში ბატონ თენგიზ არჩვაძესა და ბიჭიკო ასკურავას პორტრეტები უსახსოვრა. მანამდე ამერიკაში, კერძოდ ჰოლივუდში, მოღვაწეობის დროს უშანგი ქუმელაშვილმა, როგორც უკვე იცის მკითხველმა, შექმნა მარკ ტვენის, ნიკოლო პაგანინის და ომარ ხაიამის გორელიეფები. მანამდე რუსეთში მოღვაწეობის დროს, მან კონსტანტინე ციოლკოვსკის ქანდაკება შექმნა, რომელიც 40 წელია უცვლელად დგას ქალაქ კალუგაში. მისი ნამუშევრები ინახება ამერიკის, ევროპისა და აზიის სხვადასხვა მუზეუმებში. იგი აჟამადაც დაუღალავად მუშაობს და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა.

უშანგი ქუმელაშვილი (მარჯვნივ) და ენრიკო ჯანელიძე

შეხვედრა მწერალთა სახლში

შემდგომი დიდი წარმატებები ვუსურვეოთ უნიჭიერეს შემოქმედს.

ენრიკო ჯანელიძე,
მომღერალი, მწერალთა კავშირის წევრი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ვაჟა ფშაველას №48
ტელ: 239-03-43

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

ბრაზილიაში ქრისტეს კიდევ ერთ ქანდაკებას დგამენ

ახალი ქანდაკება ბრაზილიის სამხრეთით მდებარე ქალაქ ენკანტადოში განთავსდება. მისი სიმაღლე, კვარცხლბეკის ჩათვლით, 43 მეტრი იქნება, რაც მას მსოფლიოში ქრისტეს მესამე ყველაზე მაღალ ქანდაკებად აქცევს.

რიო დე ჟანეიროში არსებული ქრისტეს ქანდაკების სიმაღლე 30 მეტრია.

ქანდაკების დამონტაჟება 2019 წელს დაიწყო. გასულ კვირას კი თავი და ხელები დაამონტაჟეს. ახალი ქანდაკების იდეა ადგილობრივმა პოლიტიკოსმა წამოაყენა, რომელიც მარტში კოვიდ-19-მა იმსხვერპლა.

პროექტის ღირებულება 350 ათასი დოლარია. ქანდაკების მონტაჟი სავარაუდოდ წლის ბოლოსთვის დასრულდება.

მსოფლიოში ქრისტეს ყველაზე მაღალ ქანდაკებად ითვლება ინდონეზიაში, სულავესში მდებარე ქანდაკება, რომლის სიმაღლე, კვარცხლბეკის ჩათვლით, 52.55 მეტრია. მას მოსდევს პოლონეთში მდებარე ქანდაკება, რომლის სიმაღლე 52.5 მეტრია.

„მარტო სახლში“-ს მთავარი გმირი მამა გახდა

ყველასთვის საყვარელი და დღემდე საუკეთესო საახალწლო ფილმად აღიარებული „მარტო სახლში“-ს მთავარ მოქმედ გმირს, მსახიობ მაკოლეი კალკინს 40 წლის ასაკში პირველი შვილი შეეძინა.

პატარა კალკინის დედა ბრენდა სონგი გახლავთ. ისინი 4 წელია შეყვარებულები არიან. ბავშვს სახელი დაკოტა, მსახიობის გარდაცვლილი დის ხსოვნის საპატივცემულოდ დაარქვეს.

მაკოლაი კალკინი ბავშვობაში ნამდვილი ვარსკვლავი გახლდათ, სამწუხაროდ 90-იანი წლებში შექმნილი როლების შემდეგ განსაკუთრებულად ღირებული არაფერი შეუქმნია და ის დღემდე, ცელქ და ონავარ კევინ მაკალისტერად („მარტო სახლში“ მთავარი გმირი) დარჩა მაყურებლის მეხსიერებაში.

ფეხბურთის გულშემატკივრებს ვაქცინაცია დასჭირდებათ

კოვიდპანდემიამ მსოფლიოს განრიგი ყველაფერთან ერთად სპორტულ სამყაროშიც შეცვალა. 2020 წელს გადადებული ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში 2021 წლის 11 ივნისიდან 11 ივლისის პერიოდში უნდა ჩატარდეს.

აქამდე ცნობილი იყო, რომ მხოლოდ მონაწილეებს ევალებოდათ კორონას საწინააღმდეგო ვაქცინაციის გაკეთება. თუმცა უეფა დიდი ალბათობით სტადიონზე დასასწრებად გულშემატკივრებსაც მოსთხოვს აცრის დამადასტურებელ ცნობას.

ცნობილია, რომ ჩემპიონატი ევროპის 12 ქვეყანაში ტარდება, ვირუსის მესამე ტალღის გავრცელების გამო კი რამდენიმე მათგანი გულშემატკივრების დასწრებაზე უარს აცხადებს. ეს კი უეფას ფინანსურად დიდ ზარალს მოუტანს.

რამდენიმე დღეში გადაწყდება, გახდება თუ არა სავალდებულო ფეხბურთის მოყვარულებისთვის ე.წ. კოვიდ-პასპორტის წარდგენა.

მაიმუნი პინგ-პონგს თამაშობს...

ილონ მასკის შესაძლებლობები დიდი ხანია გასცდა ჩვეულებრივი ადამიანის გონებას.

მან საკუთარ სოციალურ გვერდ „Twiter“-ზე გამოაქვეყნა ვიდეო სადაც მაიმუნს პინგ-პონგის თამაში შეუძლია.

მასკის კომპანიან „Neuralink“-მა შექმნა ტექნოლოგია, რომელიც 9 წლის მაიმუნს, სახელად პეიჯერს, საშუალებას აძლევს, კომპიუტერში, ჯოისტიკის გარეშე, საკუთარი გონებით ითამაშოს.

მეცნიერებმა ცხოველს რამდენიმე თვის წინ ჩაუდგეს ტვინში სპეციალური ჩიპი, რომლის მეშვეობითაც მას გონებით, სხეულის დახმარების გარეშე, შეუძლია კომპიუტერი გამოიყენოს.

მასკი აცხადებს, რომ ეს ტექნოლოგია მალე გარდამტეხ როლს ითამაშებს ინვალიდი ადამიანების ცხოვრებაში.

მოამზადეს
რუსუდან ქოგულიამ და კახა ქორიძემ

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა პარასკევს, 16 აპრილს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 3.4232; ევრო - 4.0798;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 4.7114;
100 რუბლი - 4.4334; თურქული ლირა - 0.4195;
აზერბაიჯანული მანათი - 2.0116;
1000 სომხური დრამი - 6.5211.

ამინდი 14 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4,	დღე	+17
მთიანი რაიონები -	ღამე	+2,	დღე	+14
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+4	დღე	+20
მთიანი რაიონები -	ღამე	+1	დღე	+14
თბილისი:	ღამე	+7,	დღე	+16

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge